რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 27 ოქტომბერი 1917

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 8 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакц[illegible] რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 181 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 181

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები, და-ძმანი და ნათესავები

სარდიონ გიორგის ძე ტყემალაძისა

უღიდეს მადლობას უძღვნიან ყველა იმ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომლებმაც მათ უზომო მწუხარებაში მიიღეს მონაწილეობა პირად დასწრებით და ან წერილობით.

გაიხსნა ახალი
ქართული სრულუფლებიანი გიმნაზია
ორივე სქესის ყმაწვილთათვის
ამთავათ მიიღებიან მოსწავლენი I კლასში და მოსამ. განყოფილებებში.
ფასი სწავლისა I კლასში 200 მან. განყოფილებებში 150 მ.
თხოვნა მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე. უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის კანცელარიაში.
ვერა. არაგვის ქუჩა, სახლი სიმონოვისა № 2.
10—6 დამფუძნებელი სოფიო და თეკლე [illegible].

ამიერ კავკასიის
სააფთიაქო საქონლით მოვაჭრეთა სააქციონერო საზოგადოების
დამაარსებელნი მოუწოდებს [illegible],
სააფთიაქო საწყობების პატრონთ და ფარმაცევტებს
მობრძანდნენ კრებაზე, რომელიც გაიმართება ქ. ქუთაისში ოქტომბრის 29—31-მდე.
კრებაზე განსახილველია საზოგადოების წესდება.
ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების დამფუძნებელ დ. კოკოჩაშვილთან.

[illegible] მოწაფეთა [illegible] თ. აზნ. სასწავლებლის წევრთა
საგანგებო კრება
დანიშნულია პარასკევს, 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში, გიმნაზიის გამგე კომიტეტის ასარჩევად. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 1—1

პური

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი 27 ოქტომბრიდან მიიღებენ ახალ-ახალ პურის ბარათებს ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროსაგან, რისთვისაც უნდა წარადგინონ შაქრის ბარათი აღწერით.

იმ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, რომლებშიაც მეტი მოსამსახურე მუშაობს, შესაძლებელია გახსნილ იქნას პუნქტები პურის ბარათების დასარიგებლათ.

ამისათვის საჭიროა მოკლე ხანში წარმოდგენილ იქმნას განცხადება პურის ბიუროში, სადაც ნაჩვენები იქნება საჭირო ბარათების რაოდენობა.

5—1 ქალაქის სასურსათო გამგეობა.

მოქალაქენო!

შეუდექით ცალკე სახლებში რწმუნებულთა და კომიტეტების არჩევნებს.

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები მოვალენი იქნებიან იზრუნონ სასურსათო კრიზისის შემცირებაზე და გაუადვილონ მცხოვრებთ პირველ საჭიროების საგნების შეძენა.

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები შეერთებულის ძალით შეიძენენ სასურსათო საგნებს ბარათებით.

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები წარუდგენენ რაიონ კომიტეტებს ცნობებს ამა თუ იმ უბნის მცხოვრებთა გაჭირვება-მოთხოვნილების შესახებ.

1—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

მოქალაქენო!

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები აუცილებელია „კუდებთან" საბრძოლველათ.

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები თქვენ აგაცილებენ ფურნისა და სხვა სავაჭროების წინ რიგში დგომას.

სახლის რწმუნებულები და კომიტეტები იქნებიან თქვენი ინტერესების წარმომადგენელნი სასურსათო ორგანოთა წინაშე.

ისინი ილაპარაკებენ იქ თქვენს გაჭირვებაზე და მოთხოვნილებებზე, ისინი შეამცირებენ რიგებს, ისინი თვითონ გაანაწილებენ თქვენს შორის სასურსათო ბარათებს.

სახლი, რომელშიაც სცხოვრობს 100 კაცი, ირჩევს ერთ რწმუნებულს. სახლები, რომელშიაც სცხოვრობენ 100-მეტი კაცი, ირჩევენ სახლის კომიტეტებს, 50 კაცზე თითო წარმომადგენლობის საფუძველზე. პატარა სახლებს შეუძლიათ გაერთიანება.

მოქალაქენო! არჩევნები უნდა დამთავრდეს 1 ნოემბრამდი. აუცილებელ ცნობებს ამ საქმის შესახებ მოგაწვდით ინსტრუქტორები, რომელნიც შემოივლიან ყველა სახლებს. სხვა და სხვა ცნობებისათვის შეიძლება მიმართოთ რაიონ სასურსათო კომიტეტებს.

1—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

პური

27 ოქტომბ. დაიწყება ძველი პურის ბარათების ახლებზე შეცვლა. ბარათები გამოიცვლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში და მათ მიერ ნაჩვენებ პურის გასაყიდ ადგილებში.

პურის ბარათის მისაღებათ საჭიროა წარდგენილ იქნას შაქრის ბარათი და ძველი პურის ბარათი.

ყოველ ოჯახში მომხდარ ცვლილებაზე საჭიროა განცხადებულ იქნას ბარათის შეცვლაზე.

განცხადებები ოჯახში მომხდარ ცვლილებების შესახებ მიიღება მხოლოდ საუბნო სასურსათო კომიტეტში.

კოლექტიური ბარათები პურისა მიიღება მხოლოდ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში.

შაქრის ბარათის წარუდგენლათ პურის ბარათს ვერ მიიღებენ.

პურის ბარათის მიცემის შემდეგ მოხდება სასტიკი შემოწმება ოჯახის წევრთა რიცხვისა.

ვინც რომ ბოროტმოქმედებაში იქნება შემჩნეული, ბარათებს ჩამოართმევენ და პასუხისგებაში მისცემენ.

5—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

პეტროგრადის პროლეტარიატი

მოსულ ცნობას თანახმად პეტროგრადის მუშები და გარნიზონი კვლავ გამოვიდნენ ქუჩაში და თავის მოთხოვნილებები წამოაყენეს. სრული ცნობების უქონლობის გამო ძნელია იმაზე გადაჭრით ლაპარაკი, თუ რა ხასიათი აქვს ამ აჯანყებას. ერთი აშკარაა, იგი რამდენიმე განმეორებაა 3—5 ივლისის დღეებისა, ე. ი. იგია აჯანყება უმცირესობის, რომელსაც პოლიტიკური ბატონობისათვის ამ ჟამათ კიდევ არ მოუმზადებია ობიექტიური და სუბიექტიური პირობები. ამით იგი აუცილებლათ ქმნის მუშათა კლასის იზოლაციას, მის განმარტოებას, და ფართო ნიადაგს უმზადებს წვრილ ბურჟუაზიულ მასაში რეაქციონური ხულიგნური ჯგუფების გაძლიერებას.

აჯანყება მუშათა კლასის, რა ხასიათი და ფორმითაც უნდა იყოს იგი, ვინც უნდა ჩამოაყალიბოს მას ხელმძღვანელათ და მეთაურათ, უეჭველათ გამოიჩენს თავის სოციალისტურ ტენდენციებს, ამით იგი ფართო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ ელემენტებს წინ „წითელი საფრთხის" რეალობას დააყენებს და მას ერთხელ და სამუდამოთ ჩამოაშორებს. რაგვარიც უნდა იყოს ლოზუნგები ამ აჯანყებისა, მას ბოლოს და ბოლოს დამარცხება მოელის. აჯანყებულთა დროებითი გამარჯვება, ეს იქნება ფეიერვერკი კომუნის დაარსება, რომელიც ძალიან მოკლე ხანში ისევ ჩაქრება, რადგან მუშათა კლასს არ ძალუძს დღეს მთელი წესწყობილება გარდაქმნას, ე. ი. განახორციელოს სოციალიზმი.

ამაშია ტრაგიზმი მუშათა კლასის, ამაშია ტრაგიზმი პეტროგრადის აჯანყებისა.

მუშათა კლასთან ერთად ამ შემთხვევაში სდგას გარნიზონი პეტროგრადისა. ეს უკანასკნელი დიდ ფიზიკურ ძალას წარმოადგენს, მას შეუძლია დიდი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ სახელმწიფოებრივ მოქმედების სფეროში იგივე უძლურია. ამრიგათ აჯანყების ბედი წინასწარ გადაწყვეტილია, და ამით თვით რევოლუციაც უდგას საფრთხეში ჩავარდნილი.

ამ მხრით, ე. ი. შედეგების მხრივ დღევანდელი აჯანყების შედარებაც კი არ შეიძლება 3—5 ივლისის დღეებთან, იმდენათ დიდია მათ შორის განსხვავება.

მართალია, 3—5 ივლისის დღეები იყო დემოკრატიის უმცირესობის გალაშქრება უმრავლესობის წინააღმდეგ. იგი იყო აჯანყება თვით მუშათა საბჭოების დასამარცხებლათ და მისი დამარცხება ნიშნავდა საბჭოების უმრავლესობის გამარჯვებას. მიუხედავათ იმისა, მან გამოიწვია საბჭოთა სრული [illegible] და მისი გავლენის დასუსტება სახელმწიფო საქმეებზე.

დღევანდელ აჯანყებას კი სათავეში უდგას პეტროგრადის საბჭო, მისი დამარცხება ამიტომ იქნება დამარცხება ამ საბჭოსი, ე. ი. მუშათა რევოლუციური ცენტრისა. ეს იქნება დამარცხება იმ კლასიური დაწესებულებისა, რომელიც დღემდე ერთგულად და დაუძინებლად დარაჯად იყო დემოკრატიის ინტერესების და რევოლუციის წინმსვლელობის.

ცხადია, დღეს რომ ბოლშევიკები გასრესილ იქნენ, ეს იქნება არა მარტო ამ ერთი ფრაქციის დამარცხება, არამედ მათი დღევანდელი მდგომარეობის გამო—ეს იქნება დამარცხება მუშათა კლასის და მისი რევოლუციის ცენტრებისა. ცხადია ჩვენ შეგვიძლია სასტიკათ დავგმოთ ბოლშევიკების შემცდარი ნაბიჯი, მათი ავანტიურა, მაგრამ არ შეგვიძლია გულგრილათ ვუცქიროთ მუშათა კლასის ბედს.

მუშათა პარტია, სოციალ დემოკრატია, ვერ გადგება განზე მაშინაც კი, როცა მუშათა კლასი შემცდარ ნაბიჯებს დგამს. იგი ვალდებულია ამ ბრძოლაში ჩაერიოს და მუშათა კლასის შეცდომის გამოსწორებას შეეცადოს.

უპირველესი და უმნიშვნელოვანესია მუშათა კლასის ფიზიკური ძალის შენახვა, ამ აჯანყების სისხლის დაუღვრელათ დამთავრება.

რით შეიძლება ამის მიღწევა?

დემოკრატიის ყველა ელემენტების მორიგებით და ურთიერთის დათმობის მეოხებით, მათ შორის ერთგვარი შეთანხმების დამყარებით.

თვით აჯანყებულები, როგორც გუშინდელი ცნობა გადმოგვცემს, ერიდებიან ექსცესებს, ერიდებიან მთავრობის პირთა დაპატიმრებასაც და მოლაპარაკება აქვთ მათთან გამართული.

თუ ამ მოლაპარაკებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, მუშათა კლასის გადარჩენა და თან გადარჩენა რევოლუციის სასტიკი დამარცხებისაგან რამდენიმეთ უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენ ვიცით, როგორ უსისხლოდ გათავდა რეაქციონერ კორნილოვის აჯანყება და განა მუშათა კლასს მეტი არ უნდა დაეთმოს, ვინემ ხალხის მტერს კორნილოვს? პეტროგრადის მუშათა კლასის და გარნიზონის გამოსვლა, ეს ხომ თვით ხალხის გამოსვლაა თავის ინტერესების დასაცავათ და რესპუბლიკანური რუსეთი მათ ამისთვის სისხლით პასუხს არ უნდა მოსთხოვს. ასეთია ჩვენი მოთხოვნილება.

თავიდან ავიცილოთ ქუჩების სისხლით მორწყვის,—ასეთია ჩვენი ლოზუნგი დღეს.

რეაქციონერები, ვინც არიან, ისარგებლებენ ამ შემთხვევით, რომ წყალი კიდევ უფრო აამღვრიონ და რევოლუციის მოძრაობანი მოქალაქეობრივ ომის სისხლის მორევში ჩააძირონ.

ცხადია, რევოლუციური ჯარის წინააღმდეგ რევოლუციური ჯარის გამოყვანა შეუძლებელია, მის წინააღმდეგ მხოლოდ რეაქციონური ელემენტები გაილაშქრებენ. ამიტომ მართლაც პეტროგრადის აჯანყების ჩაქრობა შეუძლია მხოლოდ რეაქციონურ წრეებს, და ამას კი აუცილებლათ მოჰყვება რეაქციის სრული გამარჯვება. ბოლშევიზმთან ერთად გაისრისება მუშათა კლასი, საბჭოები, შეილახება თვით იდეა დემოკრატიზმის და სოციალიზმის. დიდი ხნით დაბრუნდება ხანა კონტრ-რევოლუციონერთა მეტოქეობის, დაშლილი იქნება დამფუძნებელი კრების არჩევნები და რუსეთის რევოლუციის ბედი ბეწვზე დატრიალდება.

დემოკრატიის მოვალეობაა ახლა საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ყოველი ღონე მიიღოს. ბოლშევიკებმა გაუღეს კარები რეაქციას შემოსვლას. ჩვენ უნდა ყოველი საშუალებით ეს კარები კვლავ მაგრათ დავხუროთ, რომ რეაქციას გზა ამოვკვეთოთ.

რა უნდა ვაკეთოთ ამჟამად? სრული მობილიზაცია მუშათა კლასის ყველა ძალების, მუდამ მზათ ყოფნა [illegible] ექსცესების თავიდან ასაცილებლათ, დაცვა რევოლუციურ წესრიგების ამ განსაცდელის დღეებში. ამას გვავალებს ჩვენ აქ რევოლუციონერის სოციალისტის სახელწოდება.

დავიცვათ და შევინახოთ ჩვენი ძალები, რომ გავუმკლავდეთ დიდ საფრთხეს, რომელიც მოელის თავისუფლებას.

კომუნა და ბონაპარტიზმი

პეტროგრადის რევოლუციონური ცენტრები ამოძრავდნენ და ფაქტიურად პეტროგრადში მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. მოხდა ის, რასაც დიდიხანია ბოლშევიკები მოითხოვდნენ და რაც მათ თავიანთ ბლანკისტური დროშას წააწერეს.

საფრანგეთის ბლანკისტებმა 1871 წლის კომუნის აჯანყების დროს საქვეყნოდ გაიძახოდნენ, რომ ჩვენი ძალა ჩვენს გამოუცდელობაშიაო. სწორედ ასეთსავე ტაქტიკას ადგა პეტროგრადის პროლეტარიატი, რევოლუციონური არმია და მათი დროებით ხელმძღვანელი პეტროგრადის რევოლუციონური ცენტრი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ.

რევოლუციონური ცენტრისა და პეტროგრადის ასეთი გამოსვლა თავისთავად საგულისხმოა, პროლეტარიატს თვით ფართო დემოკრატიულ ელემენტებისაგან აცალკევებს და პირველ ხანებში გამარჯვება ამ თავგადა[illegible].

რუსეთის ობიექტიური პირობები, მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება პეტროგრადის პროლეტარიატისა და პეტროგრადის რევოლუციონური ცენტრების ტაქტიკას წინააღმდეგ ლაპარაკობს და მას ისეთივე ბედი მოელის, როგორიც ეწია საფრანგეთის კომუნარებს 1871 წ. პარიზის მუშათა კლასი უტოპისტ ბლანკისტების აგიტაციის მეოხებით დამოუკიდებლად გამოვიდა. საფრანგეთის იმ დროის ობიექტიურ პირობებს ანგარიში არ გაუწიეს და მიზნად დაისახეს, საზოგადოების ერთი ჯგუფის სრულიად სამართლიანი პოლიტიკური და სოციალ ეკონომიური მოთხოვნა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნად გამოეტანათ და ამის და მიხედვით სოციალისტური ნაბიჯები გადაედგათ. მაგრამ კომუნის ისტორიიდან კარგათ ვიცით, თუ როგორ ისარგებლეს პარიზის პროლეტარიატის ასეთი გამოსვლით საფრანგეთის რეაქციონერებმა, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა კომუნარების წინააღმდეგ აამხედრეს და ტიერის მეთაურობით პარიზის პროლეტარიატი სისხლის მორევში ჩაახრჩეს და კომუნარები სასტიკათ დაამარცხეს.

ასეთ ტაქტიკას აწარმოებენ პეტროგრადის რევოლუციონურ ცენტრების ხელმძღვანელი ბოლშევიკები და ისინი თავიანთ უტაქტო და დროის შეუფერებელ გამოსვლით და ძალაუფლების ხელში ჩაგდებით ფართო დემოკრატიის საქმეს [illegible]. უკანასკნელი გარემოება პოლიტიკურ ასპარეზზე ახალ კორნილოვებს უფრო მეტის სიძლიერით, უფრო მეტის ძლევამოსილებით გამოიყვანს და მთელი რუსეთის პროლეტარიატს და რუსეთის რევოლუციას განსაცდელს თავზე მოახვევს. რუსეთის ბლანკისტებს, ანარქო-სინდიკალისტებს დაავიწყდებიათ, რომ პეტროგრადი ამ ჟამად საერთო რუსეთის სოციალური ძალთა განწყობილების სწორი გამომხატველი არ არის და იგი რევოლუციაში ისეთ როლს ვერ თამაშობს, როგორსაც თამაშობდა მაგ. პარიზი საფრანგეთის რევოლუციის დროს. პროლეტარიატის დიქტატურა განსაზღვრულ საწარმოო ძალთა განვითარებას და კლასობრივ დიფერენციაციის შედეგია და უკანასკნელმა თავის განვითარების გზაზე დიდი ნაბიჯი უნდა გადადგას, რომ მისი განხორციელება შესძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალა-უფლების უდროოთ ხელში ჩაგდება, როგორც ენგელსი ამბობს, მუშათა კლასისთვის დიდი უბედურება იქნება.

კარლ კაუცკი თავის უკანასკნელ წიგნში, სადაც იგი რუსეთის აწმყო რევოლუციას ეხება—ამბობს, რომ დღევანდელ რევოლუციაში ვერც ბერლინი, ვერც პეტროგრადი და ვერც თვით პარიზი ისეთ როლს ვერ ითამაშებს, როგორსაც პარიზმა საფრანგეთის წარსულ რევოლუციებში ითამაშა.

ამ სახით პეტროგრადის პროლეტარიატისა და რევოლუციონური ცენტრების მიერ პეტროგრადში მთელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდება იმას არ ნიშნავს, რომ ამისათვის მთელი რუსეთის ობიექტიური პირობები მზათ იყოს და პროლეტარიატს თავისი დიქტატურის გამოცხადება შეეძლოს. დიახ, ეს უდროოდ გამოსვლაა და თან აუცილებლათ ძლიერ კონტრ-რევოლუციონური ძალების ამოძრავებას გამოიწვევს. დიახ, ბოლშევიკებმა თავისი უტაქტობის მეოხებით მთელი რუსეთის რევოლუციონურ კლასებს უბედურება თავს დაატეხა და სოციალისტებს დიდი ბრძოლა დასჭირდება ახალ ბონაპარტებთან, რომლებიც აუცილებლათ წამოყოფენ თავს.

ყოველ რევოლუციაში ხდება პროლეტარიატის ასეთი გამოსვლები და ჩვენ არ შეგვიძლიან პეტროგრადის რევოლუციონური ცენტრები გაუცალკევებულად დავტოვოთ და შორიდან ვუყუროთ, თუ როგორ გაანადგურებენ მათ კონტრ-რევოლუციონერები. მიუხედავათ იმისა, რომ მარქს-ენგელსი კომუნარების ტაქტიკას არ იწონებდნენ, მაინც ისინი სასტიკათ კიცხავდნენ ტიერის ბარბაროსულ პროლეტარიატზე გალაშქრებას, და სისხლის მსმელი ბურჟუაზიის უტიფრობას. ჩვენ მზათ უნდა ვიყვნეთ, რომ ერთი მხრით პეტროგრადის აჯანყებულთა მუშების შემცდარი ტაქტიკა გამოვასწოროთ და მეორე მხრივ—რაც უფრო საშიშია, შევეცადოთ დავუხვდეთ მომავალ ბონაპარტს, დიქტატორს, რომელიც მოსპობს არამც თუ პეტროგრადის მუშათა კლასს, არამედ მთელ რევოლუციას.

მაშ დავირაზმოთ ბონაპარტიზმის მომავალი საფრთხის წინააღმდეგ.

ერობის საკითხი და დაშნაკცაკანები

დაშნაკცაკანებმა თავის პარტიულ ორგანო „ჰორიზონტ"-ის და დაშნაკცაკანთა ნახევრად ოფიციოზურ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო"-ს ფურცლებზე დიდი აურზაური ასტეხეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ მოწვეულ საერობო თათბირის გარშემო და ბრალს სდებენ სოციალ დემოკრატებს იმაში, რომ მათ ხელი შეუწყვეს ადმინისტრატიული გადამიჯვნის პროექტის დამარცხებას და მით დიდი ხნით დაასამარეს ერობის შემოღება სომხეთ-მუსულმანთა პროვინციებში. დაშნაკცაკანების გაზეთები არ კმაყოფილდებიან მარტო სიტყვიერი ბრალდებებით და, რაც ყველაზე უფრო საწუხაროა სომხის ხალხისათვის დღევანდელ მომენტში, თავიანთ [illegible] ენით დაწერილ შოვინისტურ წერილებით სთესავენ ურთიერთის უნდობლობას ამიერ-კავკასიის ერთა შორის და უფრო აძლიერებენ იმ მდგომარეობის აუტანლობას, რომელშიაც ჩავარდა სომხის ხალხი „დაშნაკცაკანების" მოუფიქრებელი და [illegible] პოლიტიკის წყალობით. თითქოს ახლა წარსულის მწარე გამოცდილებას, როცა ეს პარტია თავის პოლიტიკას ვორონცოვ-და-

საერთაშორისო ომი

ჩრდილოეთის, სამხრეთ დასავლეთით და რუმინიის ფრონტზე მხოლოდ სროლაა.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.

საფრანგეთის და ინგლისის ფრონტზე საფრანგეთში პატარ-პატარა შეტაკებები მოხდა. ინგლისელებმა ტყვეები წამოიყვანეს.

შკოვის კარნახის ქვეშ აწარმოებდა, აშკარათ უნდა დაენახვებია ამ ვაჟბატონებისათვის, თუ სანამდის მიეყვანა უპასუხისმგებლო და საშიში პოლიტიკური ექსპერიმენტებს და უნდა დაერწმუნებია ის იმაში, რომ ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა—კავკასიურ კითხვებში შეთანხმების გზა.

მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიმტკიცებს. სომხეთა კონფერენციაზე ერთხმათ მიღებულ რეზოლიუციის შემდეგ, რომელშიაც გამოარკვეულია საერთო სახელმწიფოებრივ ხასიათის საკითხების საერთოთ განხილვის და გადაწყვეტის საჭიროება ამიერ-კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენლების მიერ, დაშნაკცაკანებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ურთიერთ გაუგებრობის და უნდობლობის თავის ძველი პოლიტიკა.

ძნელია დაშნაკცაკანთა ფანატიკოსების დარწმუნება, რომ სომხების განცალკევება მათი დაღუპვაა. მაგრამ თავის ხალხის კეთილის მყოფელებმა უნდა გაიგონ ეს და ამ შემთხვევაში საერთო საკითხის განხილვა უფრო ნორმალურ პირობებში დააყენონ.

კავკასიაში ერობის შემოღების საკითხი არ ახალია, ძველია. მე არ შევეხები ამ საკითხის რევოლიუციის დრომდე ისტორიას ვიტყვი მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ მის განვითარების შესახებ.

საჭიროა ერთ ფაქტს ყურადღება მივაქციოთ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ნათლათ ახასიათებს დაშნაკცაკანთა პარტიას. როგორც ვიცით ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა პარტიების წარმომადგენლებისაგან მოაწყო ეგრეთ წოდებული საერთაშორისო თათბირი, სადაც დაშნაკცაკანებიც შევიდნენ თავის მოღვაწეობის პირველ დღიდანვე ამ თათბირმა განაცხადა, რომ ყოველივე სადაო კითხვა ამიერ კავკასიის შესახებ წინასწარ აქ უნდა გადაწყდეს ურთიერთ შეთანხმების გზით.

მერე ვინ დაარღვია ეს დადგენილება? იმათ, რომლებიც ჩვეული არიან დემოკრატიის ზურგს უკან, დიპლომატების კაბინეტში სხვა და სხვა ფარულ კომბინაციებით აწარმოონ საკუთარი პოლიტიკა.

რევოლიუციის შემდეგ საერთაშორისო თათბირზე ს.-დემოკრატიამ პირველმა წამოაყენა საკითხი ერობის შესახებ. დაშნაკცაკანებმა კატეგორიულათ განაცხადეს, რომ ერობის შემოღებამდე ადმინისტრატიული გადამიჯვნა უნდა მოხდესო. თითქოს ისე გამოდიოდა, რომ მათი ასეთი განცხადების შემდეგ იგინი წარმოადგენდენ გადამიჯვნის შესახებ წინასწარ შემუშავებულ პროექტს, რომელსაც შეთანხმების გზით მიიღებდნენ. მათი ასეთი მოქმედება დაარწმუნებდა სხვა ერთა წარმომადგენლებს, რომ დაშნაკცაკანებს მართლა სურთ ერობის საკითხი გადაჭრან კავკასიის დემოკრატიასთან სრულ შეთანხმებით.

მაგრამ დაშნაკცაკანებმა სხვა გზა აირჩიეს. მათ არ მოითხოვეს ამ კითხვის აქ ადგილობრივ გადაწყვეტა, პეტროგრადს მიაშურეს. იქ მინისტრის კაბინეტში გადასწყვიტეს ეს საკითხი. მაგრამ მათი ასეთი მოქმედება დამარცხდა ს.-რევოლიუციონერ ექიმ ჩათბეგიანის და ს.-დემოკრატ კარინინის ენერგიულ პროტესტის წყალობით და აგრეთვე სხვა ერთა დელეგატების. ამას შემდეგათ მოჰყვა ის, რომ ადმინისტრატიულ გადამიჯვნის საკითხი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს გადაეცა გადასაწყვეტათ.

ცხადია, მიუხედავათ მათი აღთქმისა დაშნაკცაკანებს უნდოდათ გადამიჯვნის საკითხი ამიერ კავკასიის დემოკრატიის ზურგს უკან გადაეწყვიტა, ამ გარემოებამ შექმნა ისეთი ატმოსფერა, რომ ადმინისტრატიულ გადამიჯვნის საკითხის გადაჭრა კიდევ უფრო გაძნელდა.

ა. ერზინკიანი.

(შემდეგი იქნება).

პრესა

„სახალხო საქმე“ ეხება ერთ მეტად საყურადღებო ფაქტს. თავად-აზნაურთა ქონების ლიკვიდაციას. ეს კითხვა არც ისე სადაა, რომ ერთი კალმის მოსმით გადაიჭრას. ყოველ შემთხვევაში მაზე საჭიროა ჩვენი აზრიც გამოვთქვათ.

„სახ. საქმე“ სწერს:

„უეჭველი ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი თავად-აზნაურობის ქონება სამართლიანობის მიხედვით ეკუთვნის მთელს ერს და არა რომელსამე კლასს. ქართველი თავადაზნაურობის შემკვიდრე ქართველი გლეხობა, ქართველი ხალხია და ყოველად წარმოუდგენელია ხსენებულ ქონებას სხვა ვინმე დაეპატრონოს“.

ჩვენ ამ ერთხელ მაინც ვპოვებთ ფედერალისტების ორგანოში სწორი აზრი გამოთქმული. ქართველ თავად-აზნაურობის ქონება საერთო, ნაციონალური ქონებათ უნდა გამოცხადდეს. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. სხვას მასთან ხელი არა აქვს. ამის წინააღმდეგ გვგონია, ვერავინ იტყვის რასმეს. აქედან პირდაპირ დასკვნაა, იგი უნდა გადავიდეს ისეთ დაწესებულებების განკარგულებაში, რომელიც მთელი ამ ერის სვე-ბედის გამგებელი იქნება. ასეთი შეიძლება იქნეს მხოლოდ ეროვნული თვითმართველობა.

მართა დღეს დღეობით ასეთი დაწესებულება კიდევ არ მოგვეპოვება. სამწუხაროთ არც დემოკრატიული ერობები გვაქვს, რომ მათი კავშირისთვის გადაეცეს ეს სიმდიდრე ერის. მაშასადამე საჭიროა დროებითი, სახელდახელოთ შექმნა ისეთი დაწესებულების, რომელსაც შეეძლოს დროებით მაინც ასეთ ორგანოს შექმნამდე ამ ქონებას გაუძღვეს და იგი ერისათვის შეინახოს.

ასეთი დაწესებულებათ „სახ. საქმეს“ მიაჩნია „ინტერპარტიული საბჭო, ან საკულტურო დაწესებულებათა კავშირი, ან რომელნიც დღეს დღეობით ქართველ ერის მესვეურობას ეწევიან“. ჩვენ გვგონია, რომ არც ერთ ამ დაწესებულებას ცალცალკე არ შეუძლია საკმაო ავტორიტეტი მოიპოვოს. ამიტომ ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ყველა იმ ორგანიზაციების ჩარევა ამ საქმეში, რომელნიც დღეს უკვე არსებობენ და ხალხის ნდობით აღჭურვილი არიან.

ასეთებია ქალაქის თვითმართველობები, რომელნიც დემოკრატიულ ნიადაგზე არიან არჩეული. ამათ აქვთ ავტორიტეტი და შეძლებაც ასეთ დიდ საქმეს დროებით გაუძღვენ.

მართა რადგან ეს თვითმართველობები მხოლოდ ქალაქის წარმომადგენლები არიან, სოფელი კი ჯერ ერობას მოკლებულია, ცხადია, მარტო ამათ ვერ დავაკისრებთ მთელი ერის წარმომადგენლობას.

ამ ჟამათ ასეთი წარმომადგენლობა უნდა შესდგეს ქალაქის თვითმართველობების, ქართულ კულტურულ დაწესებულებებისა და პარტიათა წარმომადგენლებისაგან. ამათ კრებულს შეუძლია გამოყოს თავის წრიდან ორგანო, რომელიც დროებით უხელმძღვანელებს თავად-აზნაურთა ქონებას.

დეპეშები

(პ. დ. ს. 26 ოქტომბერი).

არეულობა.

მინსკი. რეჩიცაში დაიწყო ძარცვა, მძარცველთა მეტი წილი ჯარისკაცებია. გომელიდან ჯარი გამოიწვიეს.

ეკატერინბურგი. კუშვინის ქარხანაში დაიწყო არეულობა. ბრბომ დეპუტატთა საბჭოს წევრებს სცემა, ხელში ჩაიგდეს სასურსათო დუქანი. ეკატერინბურგიდან მოსულმა ჯარმა წესიერება აღადგინა.

ქალაქის დაცვა

იალტა. ქალაქის საბჭომ დაადგინა შეადგინოს რაზმი დაიცვას ქალაქი. ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტმა რაზმის შესანახათ გადასდო 20 ათასი მანეთი.

მკვლელობა.

სტავროპოლი. სადგურ ინკის ახლოს შეიარაღებულმა მძარცველებმა მოჰკლეს და გაძარცვეს მემამულე რიპპი, მისი ქალი, ორი მოსამსახურე და მაწყობილებული ქალი.

გაფიცვა.

ხარკოვი. გაიფიცნენ ბეჭდვითი საქმის მუშები. გაზეთები არ გამოსულა.

მიმოსვლის შეჩერება.

ხარკოვი. სამხრეთ რკინის გზის გამგეობამ გამოაცხადა, რომ რადგან ნახშირი აღარ არის, სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა 1 ნოემბრიდან სრულიად შესწყდება.

მოგროვილი პური.

დონის-როსტოვი. პეტროვსკის რაიონში არმავირ-ტუაფსეს რკინის გზაზე მოგროვილია 6 მილიონი ფუთი პური. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიმართეს გზის გამგეობას მისცეს 145 ვაგონი პურის გასატანათ, რადგან თუ ჩქარა არ წაიღეს პური დაილპება. ტუაპსეს გზამ ვლადიკავკაზის გზას სთხოვა დახმარება.

დეპეშა კავკასიის ჯარს.

თფილისი. კავკასიის ჯარების ცენტრომა ცირკულიარულ დეპეშით მიმართა კავკასიის ჯარებს და დროებით მთავრობას, სადაც სასტიკათ ჰკიცხავს ბოლშევიკების გამოსვლას და მოუწოდებს ჯარებს დაიცვან წესიერება.

გაფიცვა.

დონის-როსტოვი. გაიფიცა ნავთსადგურის 3000 მუშა. წარუდგინეს მოთხოვნა სამუშაო ქირა 100 პროც. მოუმატონ. ტრამვაი დადის პატრულების ხელმძღვანელობით.

მხეცური მკვლელობა.

დონის-როსტოვი. სადგურ მილეროვოს ახლოს მთვრალმა მგზავრებმა გაქანებულ მატარებლიდან გადააგდეს მატარებლის უფროსი ასტაფიევი, რადგან მან ერთ მგზავრს შენიშვნა მისცა.

პოლონეთში.

კოპენჰაგენი. პოლონური გაზეთების გადმოცემით, ვარშავაში დაუპატიმრებიათ ცნობილი პეტროგრადელი ვექილის ოლშანსკის ვაჟი; ის თურმე ცდილობდა პოლონელ ლეგიონერებს შორის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შექმნას.

„ვოლფის“ სააგენტოს აუწყებენ ვარშავიდან, რომ გერმანიის მთავრობამ აცნობა რეგენტის საბჭოს,—ტარნოვსკის მინისტრ თავმჯდომარეთ ვერ დავამტკიცებთო.

ნავთის მუშათა და მრეწველთა წარმომადგენელთა კრება.

პეტროგრადი. შრომის მინისტრის კომისარის თავმჯდომარეობით მოხდა ბაქოს ნავთის მრეწველთა და მუშათა კრება. გადასწყვიტეს სადაო კითხვები შეთანხმების კომისიას გადასცენ. რადგან პეტროგრადი უკიდურეს მდგომარეობაშია, მუშებმა გადასწყვიტეს სამი დღით შესწყვიტონ გაფიცვა.

შორეულ აღმოსავლეთში.

ვლადივასტოკი. რადგან მანეთის ფასი ძალზე დაეცა ხაილარის და ხარბინის ბანკებმა წინადადება მიიღეს შესწყვიტონ ოპერაცია. ჩინელი მუშები რუსულ ფულს აღარ ღებულობენ, ხარბინის დაწესებულებები და რკინის სადგური უცხოეთის ვალუტაზე გადავიდნენ—დაწესებულებებიც ამას მოითხოვენ.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. ოფიციალური ცნობა მთავარ ბანაკიდან. ჩრდილოეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინიის ფრონტზე სროლაა.

კავკასიის ფრონტი. არაფერი საგულისხმო არ მომხდარა.

ბალტიის ზღვა. არაფერი ცვლილება არ არის.

პარიზი. 23 ოქტომბერს ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. ლიკმიუდეს რაიონში ხელის ყუმბარებით იბრძვიან. დღისით ჩვენი ბატარეა ესროდა მტრის სიმაგრეებს.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა ბრიტანიის მთავარ ბანაკიდან საფრანგეთში. გავრელის ახლოს მტერს თავს დაესხნენ. ხელში ჩავიგდეთ 4 ტყვიის-მფრქვეველი, 2 მორტირი და ტყვეები. მტერმა დაჰკარგა 100 კაცი.

პეტროგრადის ამბები.

(პ. დ. ს.)

სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წევრები განუწყვეტლივ მოგზაურობენ. პეტროგრადის გარნიზონის ნაწილებისა და სარაიონო საბჭოებს შორის დამოკიდებულებისთვის სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტთან არის თვითეულ პოლკის წარმომადგენელი.

პეტროგრადის სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტისა და შტაბს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ „დეპუტატთა საბჭოს უწყება“ და „ხმა ჯარისკაცისა“ შემდეგს იტყობინება: „21 ოქტომბერს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს კრებაზე სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი პეტროგრადის ჯარების ხელმძღვანელ ორგანოთ აღიარეს. 22 ოქტომბერს სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წევრები მივიდენ შტაბში და მოსთხოვეს ნება მიეცათ მათთვის კონტროლი გაეწიათ შტაბის განკარგულებისთვის გადამწყვეტი ხმით. ჯარების მთავარ სარდალმა პოლკოვნიკმა პოლკოვნიკოვმა ამაზე ცივი უარი უთხრა. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ პოლკების წარმომადგენლების კრება მოახდინა. კრებამ ჯარის ყველა ნაწილებში ტელეფონოგრამა გაგზავნა და შეატყობინა, რომ შტაბმა არ სცნო სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი და მით ყოველივე კავშირი გასწყვიტა რევოლიუციონურ გარნიზონთან და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსთან. ცნობებია, რომ პეტროგრადის გარნიზონის ნაწილებში დანიშნული კომისრები, რომლებიც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ აირჩია, კონტროლს უწევენ შტაბიდან ჯარის ნაწილებში გაგზავნის ტელეფონოგრამებს.

გაზეთ „ხმა ჯარისკაცისა“-ში პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მენშევიკთა ფრაქცია აცხადებს, რომ თავის კრებაზე მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ის უარს ამბობს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს რევოლიუციონურ კომიტეტში მონაწილეობის მიღებაზე და ამ უკანასკნელის მოქმედებაში არავითარ პასუხს არ აგებს.

სამხედრო კომისარმა დალსკიმ, რომელმაც ც. აღ. კომ. დადგენილებით იკისრა კომისარობა „ხმა ჯარისკაცისა“-ში მოწოდება დაბეჭდა და მოუწოდებს ხალხს დაიცვან წესიერება. „არ დაგავიწყდეთ ქვეყანა, გახსოვდეს, რომ ოცი დღის შემდეგ და ფრონტზე კიდევ უფრო ადრე, დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს“.

— მთელი ჯარის კომიტეტის თავმჯდომარე პოლკოვნიკი პოლიანსკი კომიტეტის სახელით აცხადებს, რომ „რუსკოე სლოვო“ და „ნოვოე ვრემია“-ში მოთავსებული ცნობა, თითქოს ბოლშევიკები მთავარ ბანაკის ხელში ჩაგდებას აპირობდენ და ბანაკი ამის წინააღმდეგ საჭირო ზომებს ღებულობს, სიმართლეს მოკლებულია.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დილიდან სააგენტო დაკავებულია სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის განკარგულებით და თვით სააგენტოში იმყოფება ამ კომიტეტის კომისარი, საშუალება არ გვაქვს პეტროგრადში მომხდარი ამბები გადმოგცეთ.

სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა პეტროგრადის მცხოვრებთადმი: „მოქალაქენო! კონტრ-რევოლიუციამ თავი წამოყო. კორნილოვის მომხრეები ძალების მობილიზაციას ახდენენ, რომ გასწყვიტონ საბჭოთა დეპუტატების ყრილობა და დამფუძნებელი კრების მოწვევაც ჩაშალონ. ამასთან ერთად სხვადასხვა ჯურის ყომარბაზნი შეეცდებიან პეტროგრადის ქუჩებში არეულობა-ქლების მოწყობას. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თავისთავზე ღებულობს რევოლიუციონური წესრიგის დაცვას. კონტრ-რევოლიუციონერებსა და დამრბევთ ის შესაფერ პასუხს გასცემს. პეტროგრადის გარნიზონი არავითარ არეულობისა და უწესოების მოხდენის ნებას არ დართავს არავის. მოვუწოდებთ მცხოვრებთ დააკავონ ხულიგნები და შავრაზმელი აგიტატორები და წარუდგინონ მახლობელ ჯარის ნაწილში კომისარს. ბნელი ძალების ცდა, რომ პეტროგრადის ქუჩებში გამოწვეულ იქნას არეულობა—ხელ ჩართული ბრძოლა ან სროლა, დასაწყისშივე მოეღება ბოლო, დამნაშავენი დახვრეტილი იქნებიან. მოქალაქენო! ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ სრულ სიწყნარისაკენ. წეს-რიგისა და რევოლიუციის საქმე საიმედო ხალხის ხელშია“.

თფილისში პეტროგრადის ამბების გამო 25 ოქტომბერს მოხდა ამხ. ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. ამხ. ევგენი გეგეჭკორმა პეტროგრადის ამბების შესახებ შემდეგი ცნობა დამწრეთ: დილის 9 ნახ. საათზე მივიღეთ დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ პეტროგრადში მოხდა ბოლშევიკების გამოსვლა, დაატუსაღეს სარწმუნოების მინისტრი კარტაშევი და დროებითი მთავრობის საქმეთა გამგე. პეტროგრადის გარნიზონი ბოლშევიკების ხელშია. მიიღო თუ არა ეს დეპეშა, ამხ. ევგენი გეგეჭკორმა შეეცადა კავშირი დაეჭირა პეტროგრადთან. იუსტიციის მინისტრ მალიანტოვიჩისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ყველა დაწესებულებები ბოლშევიკების ხელშია, ექსცესებს ადგილი არ აქვს, ბოლშევიკებს ფრთხილათ უჭირავთ თავი, ვინაიდან ეშინიათ ანარქიული გამოსვლების, სწარმოებს მოლაპარაკება დროებით მთავრობასთან“. შემდეგ მიიღეს მთავარ სარდლობიდან ფრონტის შტაბის უფროსის ლუკირსკისაგან დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მე-12 არმია დაიძრა პეტროგრადისაკენ; რესპუბლიკის საბჭო გარეკილია, ყველა დაწესებულებები, ბანკები და ხაზინები ბოლშევიკების ხელშია. კერენსკიმ მოწოდებით მიმართა ჯარს, ფლოტს და მცხოვრებთ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას, რომ ბოლომდე მიიყვანონ დამფუძნებელ კრების მოწვევის საქმე. კავკასიის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა მიმართა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და კავკასიის ყველა ქალაქების კომიტეტებს და მოუწოდებს მათ მიიღონ ზომები შეტაკების თავიდან ასაცილებლათ და დაუცადონ საკითხის გადაჭრას ცენტრში.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ უმრავლესობა წინააღმდეგია ჩაქრობილ იქნას ბოლშევიკების გამოსვლა შეიარაღებული ძალით. ამხ. ვ. ჯუღელი მოითხოვს შეჩერებულ იქნას მე-12 არმიის პეტროგრადისაკენ მსვლელობა და მოეწყოს ერთ-ფეროვანი დემოკრატ. მართვა-გამგეობა. ამხ. ნოე ჟორდანია ამბობს, რომ ბოლშევიკების ლიკვიდაცია არ არის მოულოდნელი, მაგრამ მას აკვირვებს: როგორ არ ესმით ბოლშევიკებს, რომ მართვა-გამგეობის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლა მარჯვნით გადაისვრის მცხოვრებლებს. ნოე ჟორდანიას საჭიროდ მიაჩნია საკითხი გადაჭრილ იქნას მშვიდობიანი მოლაპარაკებით და არა იარაღით, მან წამოაყენა შემდეგი რეზოლიუცია: „ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში სულ ერთია,—დროებით გაიმარჯვებს იგი თუ საჩქაროდ იქნება იარაღით ჩაქრობილი, აუცილებლათ მიგვიყვანს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებამდე და მოპოვებულ თავისუფლების დაღუპვამდე. რევოლიუციის ინტერესები მოითხოვენ აჯანყების მშვიდობიანი გზით ჩაქრობას დემოკრატიულ მართვა-გამგეობის ცენზიანი ელემენტების გარეშე მოწყობისა და დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევის ირგვლივ მთელი რევოლიუციური დემოკრატიის შეთანხმების საფუძველზე“.

ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა 26 ხმით. 27 თავი შეიკავა. (ბოლშევიკებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა) ს.-რ.—ები მოითხოვდნენ არ მიეღოთ არავითარი რეზოლიუცია საქმის საბოლოოთ გამორკვევამდე. ღამის 12 ს. დაბრუნდნენ ამხ. ნოე ჟორდანია და ევ. გეგეჭკორი, რომლებიც წავიდენ პირდაპირი მავთულით რეზოლიუციის გადასაცემათ. მათ განაცხადეს, რომ ლაპარაკი პირდაპირი მავთულით მეტად ძნელი იყო, დაწვრილებითი ვერაფერი ვერ გავიგეთ, პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ მდგომარეობა ბოლშევიკების სასარგებლოთ იხრება, დრ. მთავრობასა და მათ შორის მოლაპარაკება შესწყდა, რეზოლიუციას გადავცემთ დრ. მთავრობას, თუ შესაძლებელი იქნება.

ამ ცნობის შემდეგ სხდომაც დაიხურა.

გუშინ დილის 10 საათზე თფილისში პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი ცნობა მოვიდა: „საზამთრო სასახლე. მოწოდება ჯარებისადმი: პეტროგრადში საშიში ამბები ხდება. რადგან პეტროგრადის გარნიზონის ჯარებს უბრძანეს გასულიყვნენ ფრონტზე მტრისაგან სატახტო ქალაქის დასაცავათ, პოლკებში და ქარხნებში დაიწყო მკაცრი აგიტაცია დროებით მთავრობისა და სრულიად რუსეთის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ. ამ აგიტაციის გავლენით თავის ნებით შეიქმნა სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც პეტროგრადის [illegible] შტაბის დამოუკიდებლად დაიწყო ჯარებისადმი განკარგულებების [illegible] და [illegible] შეეცადა კიდეც მოეპოვა სავსებით რთული საპასუხისმგებლო სამხედრო მუშაობა და მოითხოვა, რომ არც ერთი ბრძანება შტაბისა ჯარებისადმი არ იქნას სისრულეში მოყვანილი, თუ ამას არ აღასტურებს კომიტეტი. ამან აიძულა დროებითი მთავრობა შემდგარიყო გადამჭრელი ზომების გზაზე, იმ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველათ, რომლებიც ქვეყნის დაცვის საქმეს საფრთხეში აგდებენ. დრ. მთავრობა, ეყრდნობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და რესპუბლიკის დროებით საბჭოს, მან გასცა ბრძანება დაიხუროს ის გაზეთები, რომლებიც აშკარათ ქადაგებენ სამოქალაქო ომს და დატყვევებულ იქნენ მთავარი აგიტატორები, რომლებიც მოუწოდებენ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა და რევოლიუციონური დემოკრატიის უმაღლეს ორგანოების წინააღმდეგ. მაგრამ პეტროგრადის ჯარების ნაწილის რყევისა და გაუბედავობის გამო დრ. მთავრობის ყველა განკარგულებანი არ იქნა შესრულებული და პეტროგრადს ემუქრება სამოქალაქო ომისა და ანარქიის სტიქიის საშიშროება, მოსალოდნელია აგრეთვე სახელმწიფოებრივი მექანიზმის მოქმედების შეჩერება, შესწყვეტა დიპლომატიური მუშაობისა, რომელსაც მიზნათ აქვს ზავის მოახლოვება დამფუძნებელ კრების მოსაწვევ მუშაობის შესწყვეტა, ჯარისათვის სურსათისა, ტანისამოსისა და იარაღის მიწოდების შესწყვეტა. ბრძოლის მომენტი უკვე დადგა. მომქმედ ჯარს, რომელიც იტანჯება ბრძოლის აუტანელ პირობებში, არ შეუძლია დაუშვას, რომ აქ „ზურგში“, მას ვერაგულათ ჩასცენ მახვილი. ჯარისკაცებმა, რომლებიც მეოთხე წელია თავის მკერდით იგერიებენ დამპყრობელთა რკინის ლაშქრებს, არ უნდა დაუშვან, რომ „ზურგის“ სამხედრო ნაწილები, რომლებმაც არ იციან ბრძოლის პირობების აუტანლობა, არ ასრულებდენ სამხედრო ბრძანებებს და სტოვებდენ ფრონტს, არ უწევდენ დახმარებას მომქმედ ჯარს; მათ არ შეუძლიათ დაუშვან ისიც, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებათა რთული მუშაობა, რომელიც გვიახლოვებს ზავს, შეწყვეტილ იქნას ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტში ფრონტმა მთელი თავისი ავტორიტეტისა და იარაღის ძალით უნდა დაუჭიროს მხარი „ზურგისადმი“ თავის მთავარ მოთხოვნილებებს, რომლებიც ერთსულოვნათ წამოაყენეს ყველა სამხედრო კომიტეტებმა. შემოკრბით დროებითი მთავრობისა და რევოლიუციონურ დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოთა ირგვლივ! სასტიკათ შეებრძოლეთ მოღალატეთა აგიტაციას და ბოლო მოუღეთ „ზურგში“ უწესოებას.

მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილე ა. კონოვალოვი.

კავკასიის ფრონტის სამხედრო კომისარმა დონსკოიმ 25 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს: „კავკასიის ჯარის სამხედრო საბჭო, ერზერუმის გარნიზონის სამხედრო კომიტეტი, ცალკე დივიზიები და გარნიზონის საბჭოები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან ბოლშევიკების გამოსვლისა, რომელიც ხელს უშლის დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევას. ბოლშევიკების გამოსვლა მთელს ჯარს თავს უყრის დროებით მთავრობის გარშემო. კერძო და ცალკე ინტერესები უკანა რიგზე დგებიან იმ საფრთხის წინაშე, რომელიც მოელის რუსეთის რესპუბლიკას. ბედნიერი ვარ დავადასტურო, რომ კავკასიის ფრონტი ისე არის მზათ დაცვას რევოლიუციის მოპოვებანი, როგორც კორნილოვის გამოსვლის დღეებში იცავდა. ჯარს ღრმათ სწამს, რომ დამფუძნებელი კრება დანიშნულ დროზე იქნება მოწვეული. ვაი მას, ვინც გააქარწყლებს ამ რწმენას! ეს აუცილებლად გამოიწვევს ფრონტისა და რუსეთის დაღუპვას“.

ახალი ამბები

კაკი წერეთელი გუშინ დილით თფილისში ჩამოვიდა.

◆ **საქონლის ჭირის** წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლათ სამხედრო სამინისტრომ ნება დართო საგანგებო კომიტეტს მოიწვიოს კავკასიაში ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა ყრილობა.

◆ **საჩუსტე ანუ საწაღე საქონლის შესაძენათ.** ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებმა უნდა მიმართონ ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობას, რომელიც ბითუმობით წაიღებს თფილისიდან საქონელს. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ თფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობა აღნიშნულ საქონელს არ მიყიდის.

◆ **ბინის კომიტეტი** მესამე უბნისა აუწყებს მოქალაქეებს, რომ ქალაქის გამგეობის წინადადებით 1 ნოემბრიდან ის თავის მოქმედებას სწყვეტს და ყველა საქმეებს გადასცემს ქალაქის გამგეობას. 30 ოქტომბრამდე შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება კომიტეტში მდივანთან მეცადინეობის დროს, ამის შემდეგ უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობას.

◆ **ამიერ-კავკასიის სათბობი მასალის** საქმის მომწესრიგებელი კომიტეტის სხდომა მოხდა 25 ოქტომბერს. მასალის განაწილება ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებისათვის დაევალა ინჟ. ოგანეზოვს, დიასამიძეს და ბრაილოვსკის.

◆ **თფილისის გარნიზონის კოოპერატივის** მომწყობი და ჯარის კაცთა დუქნების რეორგანიზაციის მომხდენი კომისია იმყოფება სახახლეში აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან. ტელ. 10—76.

◆ **გიმნაზია გ. ს. ბილანიშვილისა** სთხოვს ამ გიმნაზიაში მყოფ მოწაფეთა მშობლებს მობრძანდენ 28 ოქტომბერს 3 საათზე ნადალადევის თეატრში მშობელთა წრის ასარჩევად და აგრეთვე სხვა კითხვების გასარჩევად.

◆ **სურსათი.** გუშინ თფილისში შემოიტანეს 4 ვაგონი ფქვილი, 2 ვაგონი ხორბალი (ერთი ვაგონი სათესლე). ერთი ვაგონი ხორბალი კახეთის რკინის გზის მოსამსახურეებს გადაეცა.

პროვინციის ქრონიკა

ოზურგეთი. კვირას, 29 ოქტომბერს, შუადღის 1 საათზე თვითმართველობის შენობაში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება ოზურგეთის და მის რაიონის მუშათა ასოციაციისა. ვინაიდან კრება მეორეჯერადაა მოწვეული, ის კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

ს. ოქროს ძალი. (გურია). 26 სექტემბერს ეგნ. ნინოშვილის სახელობ. სამკითხველოს სასარგებ. წარმოდ. იქნა „სოფ. გმირები“ და „ტიმოთეს ლუდვი“. წარმოდგენის დასაწყისში ეგ. ნინოშვილის და მისი მოთხრობების მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ც—ძემ. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ხარჯს გარდა დარჩა 242 მან. 3 კაპ.

— ამას წინად აქ ორი ლექცია წაიკითხა სტუდ. კალენიკე ცქვიტინიძემ შემდეგ თემაზე: „ვინ არიან სოციალ დემოკრატები, სოციალიზმი და გზა მისკენ“. ლექცია შინაარსიანი გამოდგა და მდაბიური ენით იყო წაკითხული. მსმენელებიც კმაყოფილი დარჩნენ.

რესპუბლიკის დროებითი საბჭო

(პეტ. ტელ. სააგ.)

24 ოქტომბრის კრება.

კრებას თავმჯდომარეობს აქსენტიევი. განმარტებას იძლევა შინაგან საქმეთა მინისტრი, პეტროგრადისთვის დანიშნულ სურსათის მოტაცების შესახებ. მისი სიტყვის დროს ლოჟაში სხდებიან მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი და მისი მოადგილე კონოვალოვი შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების შემდეგ ტრიბუნაზე ადის კერენსკი და ვრცელ სიტყვას ამბობს.

მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკი. დროებითმა მთავრობამ მე მომანდო განვიცხადო შემდეგი: ამ უკანასკნელ ხანებში, როცა უფრო ახლოვდება ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების გამაგრების დრო, როცა ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები რუსეთის საზოგადოებრიობის ერთ ფრთას განზრახვა აქვს ჩაშალოს დამფუძნებელი კრება, ხელი შეუშალოს ქვეყნის დაცვას და სისხლით მოპოვებული ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა პეტროგრადზე მისულ მტერს ჩაუგდოს ხელში. არა ერთხელ მითქვამს, რომ დროებითი მთავრობა ცდილობს დაიცვას ყოველი მოქალაქის უფლება—თავისუფლება ამ უკანასკნელ ხანებში მთელი რუსეთი და უფრო მეტად პეტროგრადი აშფოთა აშკარა აჯანყებისთვის მზადების ნიშნებმა, რომელსაც ამზადებს, რევოლუციონერ დემოკრატიისგან ჩამოშორებული ნაწილი. მეორე მხრით ამავე დროს გაზეთების მეორე ნაწილიც აგიტაციას ეწეოდა დროებით მთავრობის გადაყენებას და არსებულ წეს-წყობილების დიქტატურით შეცვლის შესახებ, ეს იბეჭდებოდა „ნოვაია რუს“-ში და „ჟივოე სლოვო“-ში მეორე მხრით გაზეთ „რაბოჩიაია პუტ“-ში ყოველ დღე იბეჭდებოდა აჯანყებისთვის მოწოდება. თანაც აქტიური მზადება დაიწყეს აჯანყებისთვის. მინისტრ-თავმჯდომარე კითხულობს ლენინის პროკლამაციას, სადაც ის მოუწოდებს იარაღით ხელში გამოვიდნენ ქუჩაში, გადააყენონ დროებითი მთავრობა და მთელი ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადასცენ. შემდეგ ის კითხულობს ლენინის წერილს, სადაც ის ადარებს რუსეთის ს.-დემოკრატიას ნემეცებისას. სადაც ის უხებს კერენსკის, უზურპატორის და გამყიდველს უწოდებს, და ამბობს, რომ ეს აჯანყების მოწყობანი გერმანიის პროლეტარიატს კი არ უწევს სამსახურს, არამედ ვილჰელმის და მისი მეგობრების ჯაშუშნიან მუშტს რუსეთის ფრონტს უხსნიან. ეს აჯანყება ხდება იმ დროს, როდესაც მთავრობა საბოლოოდ სწყვეტს საკითხს ყველა მიწები დამფუძნებელ კრებამდე დროებით გადაეცეს მიწების კომიტეტებს. გარდა ამისა დროებითი მთავრობას განზრახვა ჰქონდა გაეგზავნა ამ დღეებში თავის დელეგაცია პარიზის კონფერენციაზე, რომლის პირით კატეგორიულად უნდა მოეთხოვა მოკავშირეებისთვის ომის მიზნების გამოაშკარავება და გამორკვია ზავის პირობები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ არსებულ წეს-წყობილების ფორმის დანგრევა იმ დროს უნდათ, როცა სამი კვირის შემდეგ დამფუძნებელ კრების არჩევნები უნდა მოხდეს. შემდეგ კერენსკი აღნიშნავს რევოლუციონურ შტაბთან მოლაპარაკების ამბავს. ის ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონურმა შტაბმა უარჰყო თავისი წინანდელი მოთხოვნილებანი, იგინი ცბიერად მოიქცენ და ჯარს თოფები და პატრონები დაურიგეს და აშკარად დაიწყეს აჯანყება. კერენსკი კატეგორიულად აცხადებს, რომ დროებითმა მთავრობამ საჭირო ზომები მიიღო აჯანყებულთა წინააღმდეგ. დასასრულ ის მოუწოდებს რესპუბლიკის საბჭოს მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას.

სადღეისო წერილები

(დასასრული).

ბ. საგარეო პოლიტიკის დარგში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რევოლუციის გამარჯვებით დაბოლოვებისათვის ჩვენი მოქმედება საგარეო პოლიტიკის დარგში—ზავის საკითხში. რუსეთის რევოლუციამ მაშინვე წამოაყენა ზავის საკითხი. 14 მარტის მოწოდებით რუსეთის დემოკრატია საშუალებით გამოეთხოვა ცარიზმის და მის მოკავშირე შინაურ უცხოელ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ მისწრაფებებს. (ციმერვალდმა*) გაიმარჯვა და მან რუსეთის რევოლუციას საერთაშორისო ასპარეზზე საომრად ძლიერი იარაღი ჩააბარა. ეს იყო მოწოდება საერთაშორისო დემოკრატიისადმი, იბრძოლონ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისთვის ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე მმართველ იმპერიალისტურ მთავრობათა სურვილების წინააღმდეგ. და იქ დასავლეთში მშრომელი დემოკრატია, გაბრუებული კლასების ყოფნით სამშობლოს საფრთხეზე და სოციალ-პატრიოტული ჯგუფების ქადაგებით საღვთო ერთობაზე, ნელნელა აუჩქარებლად ერკვეოდა. რუსეთის რევოლუცია უმოწყალოდ ანგრევდა ძველ ილუზიებს და ზავისადმი წყურვილს აძლიერებდა.

მაგრამ ციმერვალდის ლოზუნგების ცხოვრებაში გატარება, რევოლუციონური მეთოდებით ზავისათვის ბრძოლა მალე ტერეშჩენკოს დიპლომატიური ხელოვნებით შეიცვალა. ამაზე შორს ვეღარ წავა უკუღმართობა რევოლუციის ბედისა. რუსეთის რევოლუციამ წამოაყენა საიდუმლო ხელშეკრულობათა გადახედვის საჭიროება და ეს დღესაც არ არის განხორციელებული და არც განხორციელდება ახლანდელი მთავრობის ხელში. დემოკრატიული ზავის პირობების შემუშავება და ზავის წინადადებით ყველა მეომარ სახელმწიფოებისადმი მიმართვა—აი ჩვენი უპირველესი მოვალეობა, რომლის განსახორციელებლად ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ მოკავშირეებთან დიპლომატიური დამოკიდებულებათა შეწყვეტის წინაშეც კი, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი ზომაც—ეს ჩვენი უცხოელი დიპლომატიური კორპუსის დაუყოვნებლივ გაწმენდა ნიკოლოზის დროინდელი პირებისაგან. რევოლუციონური რუსეთის მოთხოვნილების გამომხატველი უნდა იყონ დემოკრატიის ნამდვილი წარმომადგენელნი და არა ისეთი პირები, როგორიც ტერეშჩენკო-მაკლაკოვ-ნაბოკოვებია, რომლებიც რუსეთის რევოლუციის ზავის ფორმულას იეზუიტისავით უკუღმა ხსნიან და ბოლოს იქიდან საბოლოოდ გამარჯვებამდე ომის გაგრძელებაც გამოყავთ, ცოტაოდენი ანექსიებიც და პატარა კონტრიბუციაც.

არა ნაკლებ საბედისწერო შეიქნა სტოკჰოლმის კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა დემოკრატიული ზავის პირობები. სტოკჰოლმის კონფერენცია ხელს შეუშლიდა ზავის ჩუმად, მალულად ჩამოგდებას, რადგანაც იმ კითხვისაკენ მიიპყრობდა საერთაშორისო დემოკრატიის მთელს ყურადღებას.

კერენსკის მთავრობამ რუსეთის რევოლუციონური დემოკრატიის სახელით გასცა სტოკჰოლმის კონფერენცია კერძო ჯგუფების და პარტიების საქმედ და მისი დადგენილება მთავრობისათვის სავალდებულო არ იქნებაო. ეს იყო განცხადებული ივლისში და ეს შემდეგ ხელზე დაიხვიეს საზღვარ გარეთელმა იმპერიალისტურმა მთავრობებმა და სოციალისტებს სტოკჰოლმში წასასვლელად პასპორტების მიცემაზე უარი განუცხადეს.

პაპის საზავო ნოტას სიამოვნებით ეგებებიან იმპერიალისტები ყველა ჯურის, ხოლო სტოკჰოლმს რუსეთის „რევოლუციონური“ მთავრობა უცქერის როგორც კერძო ჯგუფების საქმეს.

ჩვენი მოთხოვნილებაა, დროებით მთავრობამ ყოველი ღონის ძიება იხმაროს მოკავშირე მთავრობებთან, რომ დაუყოვნებლივ მისცენ პასპორტები სოციალისტებს კონფერენციაზე დასასწრებლად. ამით ჩვენ დავახწევთ თავს იმ იმპერიალისტურ ზავს, რომელსაც გვიმზადებენ მოკავშირე მთავრობები.

როგორც შიგნით, ისე გარეთ საჭიროა აქტიური საზავო პოლიტიკის წარმოება რევოლუციონური მეთოდებით იმ ლოზუნგების მიხედვით, რომელნიც საბოლოოდ შეითვისა რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ.

კითხვა ნათელია: ან ომი, ან რევოლუცია ჩვენთვის საჭიროა რევოლუციონური მთავრობა, რომელიც შესძლებს ასეთი ზავის პოლიტიკა აწარმოოს. და ის, რომელიც შესძლებს ზავის შეკვრას, რადგანაც მას ნდობა ექნება ფართე მასსაში.

გ. საშინაო პოლიტიკის კითხვები.

როდესაც ჩვენ ვამბობდით მთელ რიგის ზომებზე რევოლუციის სახსნელად თავისდაუნებურად დგებოდა კითხვა, ვის უნდა მიენდოს ამ ზომების ცხოვრებაში გატარება, როგორი მთავრობაა საჭირო, რომ ისინი დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნენ.

კოალიციონურ პრინციპზე აგებულ მთავრობამ ამ ნაწილს თავის სრული სიკოტრე გვიჩვენა: როდესაც კითხვა იხმოდა რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაზე, კოალიცია ინგრეოდა. ავაშენებდით ისევ ძველებულ ხუხულას, ცხოვრება მოითხოვდა გადამჭრელ ზომებს და კოალიცია უძლურად შესცქეროდა, როგორ ინგრეოდა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა და ვერ მოეხერხებინა გაბედულ ნაბიჯის გადადგმა, გაითუ ამდენი წვალებით აშენებული ხუხულა დაენგრიეს.

ჩვენთვის საჭიროა ზავის მთავრობა. ამისთვის ვერ ივარგებს კოალიციონური მთავრობა, რომელიც აცხადებს, ზავი შეკრული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე იმპერიალისტურ მთავრობებთან შეთანხმებით, რაც ჩვენებურად, რომ ახსნა, იქნება ომი ბოლომდის, რადგან ასე სურთ მოკავშირეებს. გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის მაგიერ ჩვენ ვდგევართ ერთ ადგილზე და მოწიწებით შევცქერით საზღვარგარეთულ აკულებს, რომლებიც დღეს არა ხვალ ჩაყლაპვას გვიპირებენ.

ავილოთ მიწის საკითხი. აქ ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. მიწები უნდა მიეცეს გლეხობას. დრ. მთავრობაც თანახმაა, მაგრამ ეუბნება გლეხებს, დაიცადეთ დამფუძნებელ კრებამდე და დამფუძნებელი კრების მოწვევას კი აჭიანურებს. არც არის გასაკვირველი: კადეტები ერთხელ ჩერნოვის საადგილ-მამულო კომიტეტების გულისათვის გაიქცენ სამინისტროდან და თავის თავად ლვოვმაც დასტოვა მისი გულისთვის მინისტრთა თავმჯდომარეობა. დღეს კადეტები ბრუნდებიან სამინისტროში, მერე რისთვის? ეგებ მიწის საკითხის გადასაჭრელად? არა. შეთანხმების პლატფორმაში არაფერი არაა ნათქვამი მიწების გადაცემაზე გლეხებისათვის, აქ მხოლოდ ლაპარაკია უფლებრივი ნორმების განსაზღვრაზე მიწის კომიტეტებისათვის. ამასობაში კი გლეხობა ანარქიულ მოძრაობას მოუცავს. მას იმედი არ აქვს არც რევოლუციის, არც დროებითი მთავრობის და თუ გავიხსენებთ გლეხების პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, ჩვენ შესაძლოა მოწმე გავხდეთ საფრანგეთის მაგალითების 89 და 48 წლებში.

ავილოთ არმია. მისი დემოკრატიზაცია ნამდვილად ჯერაც ქაღალდზე რჩება. ამხ. წერეთელი მენშევიკების კონფერენციაზე პეტროგრადში ამბობდა—გვიჩვენეთ ინტერნაციონალისტებში კორნილოვის მაგიერი და დაინახავთ, თურმე შესაძლებელი ყოფილა კორნილოვის უმისოდ ცხოვრება. არმიაში გახშირდა თვითგასამართლებანი და ეს არც გასაკვირია. არმია დღესაც არ არის გაწმენდილი კონტრ-რევოლუციონური შემადგენლობისაგან, რაც შიშს ბადებს ჯარებში და ისინი დრ. მთავრობაზე იმედგაცრუებულნი თავისებურად ეძებენ გამოსავალ გზას.

თუ დროზე არ იქნება განწმენდილი არმია კონტრ-რევოლუციონური ოფიცრებისაგან—უკანასკნელი საშინელ საფრთხეთ იქცევა რევოლუციისათვის. რომის პრეტორიანცების მაგალითები ჩვენთვისაც საგულისხმოა. ჯარი მატრონით და მეფეთ აცხადებდა იმას, ვინც მით უკეთ დაასაჩუქრებდა. არმიის დახმარებით მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება ნაპოლეონ ბონაპარტემ, ლუი-ნაპოლეონმა III და არმიისვე წყალობით იმპერატორობა ხელთ იგდეს.

საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება, რათა ჩვენი არმია არ გადაიქცეს რომის პრეტორიანელთა გვარდიად ან დემობილიზაციის დროს სახელმწიფო არ გაანადგუროს. საჭიროა ჯარების კომიტეტებისა და საბჭოების კომპეტენციის გაფართოება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ სანდო პირების დანიშვნა ჯართა ორგანიზაციების რეკომენდაციით, რათა ამით კარი გაეხსნას ნიჭს, საჭიროა ჯარში პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობის ხელის შეწყობა, სიკვდილის დასჯის გაუქმება და სხ. რაც შეეხება ეკონომიურ რეფორმებს, საეჭვოა რომ მთავრობამ ახლანდელმა დროებითი შესძლოს რაიმეს გაკეთება. აქამდის კი მან ამ დარგში იმაზე უკეთესი ვერა გააკეთა, რომ პურის ფასები 100 პროც. გაადიდებინა და ესეც მემამულეთა ზეგავლენით. (გავიხსენოთ როძიანკოს წერილი კერენსკისადმი) ამან აშკარა გულის წყრომა გამოიწვია ღარიბი გლეხობის მხრით, რომელიც ან ყიდულობს პურს, ანდა მომეტებულ ნაწილმა მისცა პური ნიხრის მომატებამდე მთავრობის რწმუნებულებს. სახელმწიფო კონტროლი წარმოებაზე უნდა დააწესოს კონოვალოვმა, რომელმაც სამიოდე თვის წინეთ დეზერტირივით გაიქცა მთავრობიდან, რადგან არ სურდა რუსეთის ვაჭარ მრეწველთათვის წყენა მიეყენებინა.

კოჭლობდა და დღესაც კოჭლობს მთავრობის პოლიტიკა სარწმუნოების საკითხში. ის აქამდე ვერ სცემს დეკრეტს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოთიშვის შესახებ და ეს იმ დროს, როდესაც რუსეთის სამღვდელოების უმრავლესობა, რომელზედაც უკვდავ ბელინსკიმ სთქვა „მუდამ განსხვავდებოდა სხვებით ღიპებით, სქელსახიური პედანტობით და ველური უვიცობითო“, ეს უმრავლესობა წარმოადგენს თვით მპყრობელობის მონა მორჩილს და დღესაც არ ეშვება, ბნელ აგიტაციას ეწევა რეაქციის სასარგებლოთ. პოლიტიკურად განუვითარებელი გლეხობა მათ ხელში წარმოადგენს მდიდარ მასალას ბონაპარტისტულ ნაყოფის გამოსაყვანათ. ამ საკითხშიც დრ. მთავრობა სჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის. ის არ უშვებს კონფისკაციას საეკლესიო და სამონასტრო მიწებს, რომლის რაოდენობა 2 ნახ. მილიონ დესეტინას აღემატება, არ უშვებს კონფისკაციას სამონასტრო კაპიტალებს, რომლის რაოდენობა დაახლოვებით უდრიდა 40.000.000 მან. ფულით სხვა და სხვა ბანკებში თავ მოყრილს. დაბოლოს დღესაც არ არის დახურული კრედიტები სასულიერო წოდებისათვის სახელმ. ხაზინიდან, რომლის რაოდენობა ომამდის უდრიდა 36 ნახ. მილ. მან. ეს ფული იფლანგება უქმათ მსხდომ ხალხის სარჩენად იმ დროს, როდესაც დრ. მთავრობა ქაღალდის ფულით იკვებება, იმ დროს, როდესაც თვითეულ ჯარის უკვე აძლევს სახელმწიფო ვალების სახით, 25.000 მან.—აი ასეთ დროის ერიდებიან სახელმწიფოდან ეკლესიის ჩამოშორებას.

დაბოლოს ჩვენი მოთხოვნილებაა—დაუყოვნებლივ გამოიცეს დეკრეტი წოდებათა გაუქმებაზე, მაგრამ აქაც რყევას განიცდის დრ. მთავრობა, რომ რეაქციონურ თავად-აზნაურობას არ ვაწყენინოთო.

უამისოთ რევოლუცია დაღუპვის გზისაკენ მიდის, რევოლ. ბედი საეჭვო შეიქნა და ხვალ ყველა შენაძენს შეიძლება გამოვეთხოვოთ. ამბობენ დემოკრატია სუსტია რუსეთში, იგი არ მიყვება პროლეტარიატს. მარა თუ დემოკრატია არ მიყვება პროლეტარიატს, ეს ნებას არ გვაძლევს მას სწორ გზაზე არ მივუთითოთ. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, დემოკრატია არ დაემორჩილოს ბურჟუაზიის გავლენას, რადგანაც ამას მოყვება რევოლუციის დამარცხება. ჩვენი საერთო მასწავლებელი კ. მარქსი სწერდა 48 წლის რევოლუციებზე პირადი დაკვირვებიდან: „წვრილი ბურჟუაზია მხოლოდ მანამდე შესძლებს შეინარჩუნოს თავისი რევოლუციონური პოზიცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სანამდი მასთან სდგას პროლეტარიატი“.

დემოკრატიულ თათბირზე სოციალური ძალთა გენერალური გადამიჯვნა მოხდა. ერთი მხრით დარჩა დემოკრატია და ცენზიანი ელემენტები, მეორე მხრით კი მუშათა კლასი.

ბოლშევიკებმა დასტოვეს დრ. საბჭო რესპუბლიკის, ჩვენ ვდგევართ ქუჩებში გამოსვლის შესაძლებლობის წინ. ცენზიანი ბურჟუაზია კიდეც შეეცდება ეს დააჩქაროს. თუ გენერლებმა არ გასჭრა, ჩვენ შეიძლება მოწმე გავხდეთ 1848 წლის ივნისის დღეების, ე. ი. მუშათა სასტიკი დამარცხებისა.

რევოლუციას იხსნის დემოკრატიული ზავის მთავრობა, რომელიც გადადგამს გადამჭრელ ნაბიჯებს ყველა დარგებში.

დემოკრატია არ გაექცა ქალაქს და საერობო თვითმართველობებს ხელში აიღებს. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, მან აქ თავის შემოქმედებითი ნიჭი გამოცხოველა, გაამჟღავნა. და ეს გამოუცდელი და სუსტი ერთი შეხედვით განსაცდელს მედგრად უმკლავდება. კორნილოვის შეთქმულობის წინ რამოდენიმე დღე ფეხზე დააყენა მთელი დემოკრატია და შეთქმულება სწრაფად იქნა ჩაქრობილი. ასე იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროსაც, როდესაც მეფის პარტიამ უფლება ჩაიგდო ხელში, ასე იყო პარიზის კომუნის დროს 1871 წ. და ნუ თუ დღეს რუსეთის დემოკრატია იმდენათ სუსტი და უილაჯო აღმოჩნდა, რომ ვერ შესძლებს სახელმწიფოს გაძღოლას? უკან მობრუნება ახლა ჩვენთვის შეუძლებელია. ჩვენ უნდა გავსწიოთ მხოლოდ წინ ჩვენი მომავლის შესახვედრათ და ყველა იმათ ვინც ირყევიან, მოვაგონებ ღრმა მნიშვნელოვან სიტყვებს საუკეთესო რევოლუციონერი კ. მარქსის: საზოგადოების ყოველი სრული გარდაქმნის ხანაში უკანასკნელი სიტყვებით სოციალური მეცნიერებისა იქნებიან სიტყვები ჟორჟ ზანდის:

— ბრძოლა, ან სიკვდილი, ან სისხლიანი ომი ან განადგურება. აი ასე, ნამდვილად ასე სვამს საკითხს ისტორია“.

მ. ცქვაშვილი.

სოც.-დემ. პარტიაში

ტრაპიზონი. 17 ოქტომბერს მოხდა პარტიის წევრთა საერთო კრება. წევრები მრავლად დაესწრნენ. დღის წესრიგში: სკობელევის მანდატი მოკავშირეთა კონფერენციაზედ, ფრონტზე დელეგატების გაგზავნა და საბჭოების ყრილობა. სკობელევის მანდატის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სერებროვსკი (მენშევიკი), რომელიც დაწვრილებით ეხება სახელმწიფოთა შორის ომებს, მიმოსვლის და ვაჭრობის საკითხს და იმ მიზეზებს, თუ რა იწვევს ომს. ის ქარტაზე უჩვენებს მსმენელებს, ზღვებს, მიმოსვლის საღაო გზებს და ამა თუ იმ საღაო ტერიტორიებს, მადნებიან ადგილების სხვადასხვა სახელმწიფოთა საზღვრებს შორის და არკვევს, თუ რა საშუალებით უნდა წყდებოდეს საღაო საკითხები და როგორ წყდებოდა ის დღემდის. განმარტავს გამოქვეყნებულ მანდატს, გაარკვევს, თუ რა წინააღმდეგობას შეხვდება ამხ. სკობელევი ბურჟუაზიის მხრით კონფერენციაზედ, და როგორ გამოძახილს ჰპოვებს ის ყველა ქვეყნის დემოკრატიათა შორის. და თუ ბურჟუაზია, რომელიც გაჰყიოდა თითქოს ომი ერების გასანთავისუფლებლად სწარმოებს, არ მიიღებს ჩვენი დემოკრატიის მიერ წამოყენებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის პირობებს, ის მაშინ საქვეყნოდ დაამტკიცებს თავის მტაცებლურ პოლიტიკას და [illegible] კი აუხილს თვალს და საერთო [illegible] ხლო ბრძოლას [illegible] ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის [illegible] საბჭოების ყრილობის მოწვევის [illegible] ხსენებლათ გამოდის ამხ. დათ. ნასარაძე (ბოლშ.), ის ვრცლად ეხება ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის უაზრობას, მის მოღალატურ და მუხანათურ პოლიტიკას და ამბობს, რომ დღეს ყველა სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ,—როგორც მენშევიკებმა, ისე ბოლშევიკებმა უარყვეს კოალიცია, და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა.

ბურჟუაზიასთან თანამშრომლობამ შეაფერხა რევოლუციის მსვლელობა და განვითარება. მისმა ერთალაგს ტკეპნამ გამოიწვია კონტრრევოლუციონერებთა გამოსვლები და აქ ჩვენ დავინახეთ, თუ რა როლი ითამაშა კორნილოვის გამოსვლის წინააღმდეგ საბჭოებმა. აღნიშნა საბჭოების განსაკუთრებული ღვაწლი რევოლუციის დაცვის საქმეში და მისი საიმედო ძალა, რომელმაც უნდა იხსნას მომავალში რევოლუცია ყოველგვარ თავდასხმისაგან. საბჭოების სიეზდის ეხლავე მოწვევის ხელის შეშლა მას მიაჩნია დიდ შეცდომათ.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. მ. ჯაში, (მენ.) რომელიც ეხება რა, საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას, მოჰყავს შედარება რუსეთის რევოლუციის და აღნიშნავს სოც.-დემოკრატიის სწორ ტაქტიკას დღემდის ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისას. მისი აზრით ეხლა სიეზდის მოწვევისთვის მზადება და არჩევნები შეაფერხებს და ხელს შეუშლის იმ დიდ საქმეს, რომელიც წინ გვიდგია. საჭიროა დიდი ენერგია დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის და დღეს მას სიეზდის მოწვევა არ მიაჩნია აუცილებლათ. ამავე აზრის არის ამხ. ლ. რუბენშტეინი. ამხ. ჩელიაბინი იზიარებს ამხ. ნასარაძის აზრს. კრება თითქმის ერთხმად ღებულობს ამხ. კვარკელიას მიერ წარმოდგენილ შემდეგ რეზოლუციას.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სიეზდის მოწვევის გადაწყვეტა გამომდინარეობდა რევოლუციონური საბჭოების წარმომადგენლობისაგან, რომლებიც წარმომადგენელნი იყვნენ დემოკრატიულ თათბირზე, რომელსაც შეუერთდა ყველა წევრები სოციალ-დემოკრატიისა, განსაკუთრებით ფრაქციის და საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ვთვლით რა საბჭოთა სიეზდს მძლავრ საშუალებათ, ქვეყნის რევოლუციონური ძალების შესაკავშირებლათ, რომელიც უზრუნველ ჰყოფს დამფუძნებელ კრების თავის დროზე მოწვევას, გაამაგრებს რევოლუციით მოპოვებულს და გაღრმავებს მას, საერთო კრება ტრაპიზონის ორგანიზაციისა რ. ს. დ. მ. პ-სა, ვთვლით რა ეხლანდელ პირობებში საბჭოების სიეზდის მოწვევის აუცილებლობას, გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ადგილობრივმა საბჭომ მ. ს. და გ. დეპუტატებისა, უარჰყო სიეზდზე თავის წარმომადგენლის გაგზავნა, მოუწოდებს ტრაპიზონის რაიონის საბჭოებს გაარკვიონ ეს კითხვა კრებაზე და გამოსთქვან თავიანთი დამოკიდებულება საბჭოების სიეზდის მოწვევასთან. მესამე კითხვა დელეგატების გაგზავნა ფრონტზე პროპაგანდა აგიტაციის გასაწევათ. რადგან წინანდელი არჩეული დელეგატები საკმაო არ დარჩა, ამისთვის უმატებენ კიდევ რამდენიმე ამხანაგებს. კრებაზე მოვიდა ცნობა, რომ ჩვენი სია იქნება № 1 და მოუწოდებს წევრებს დაიცვან ეს. კრება მწუხარე ფაქტით ეგებება ამ ცნობას.

ივლ. ეხიკაშვილი.

ს. მოხაში (სამეგრელო). მოხდა პარტიული კრება. წევრები ბლომად დაესწრნენ. ერთმა ამხანაგმა გააკეთა მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ, გამოირკვა, რომ ზოგიერთი წევრები კრებას იშვიათად ესწრებიან. კრებამ დაადგინა: ვინც უმიზეზოთ სამჯერ კრებას დააკლდება, გამორიცხულ იქნება პარტიიდან. გაირჩა აგრეთვე სხვა საკითხებიც, როგორც მაგალითად, საწევრო ფულის დროზე გადახდა, ახალი წევრების მიღების წესი და სხვა.

მოხაშელი.

ხარიჯამიში. ასრულდა ის, რასაც [illegible] შეხაროდნენ ბოლშევიკები. თანახმად ბოლშევიკების დადგენილებისა, ბოლშევიკებმა აქაც შეუძლებლად სცნეს ერთად მუშაობა. 17 ოქტომბერს მოხდა კომიტეტის უკანასკნელი შეერთებული კრება, კამათი იყო იმას შესახებ, თუ როგორ მოეხდინათ გაყოფა. გადაწყდა 20 ოქტომბერს იქნეს მოწვეული საერთო კრება და გაიცნონ პარტიის წევრებს საქმის ვითარება.

პატარა ხამხონი.

მუშათა შორის

საველე ტელეგრაფის მუშები კავკასიის ფრონტზე. კავკასიის ფრონტზე საველე ტელეგრაფის მუშების რაოდენობა ათასამდე იქნება. „ჩინოვნიკები“, რომელნიც ჩვენთან ერთად მუშაობენ, ოთხასამდეა. ჩვენ არ გვეძლეოდა და არც გვეძლევა საინტენდანტოდან, როგორც „დრუჟინის“ ან სხვა სამხედრო დარგის მუშებს ეძლევათ, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საზამთრო სათბური და სხ. ამავე დროს გვიხდება მუდამ ცივ ადგილებში მუშაობა. ხშირად თოვლში და მწარე ყინვებში ვმუშაობთ. მართალია, ხარჯის ფული გვეძლევა, მაგრამ ამ საერთო სიძვირის დროს რა უნდა იშოვნო პოზიციებზე და გინდა ახალ დაკავებულ ადგილებში. თფილისშიაც ზარათებით ძლივს იშოვნება სურსათი [illegible]

---

*) ციმერვალდი პატარა სოფელია შვეიცარიაში. იქ შესდგა პირველი სოციალისტური კონფერენცია ომის დაწყების შემდეგ.

გამოუთქმელ ტანჯვებს განვიცდიდით გასულ წლებში. ჩვენთვის არ იყო კვირა-უქმე დღეებში დასვენება. არ ჰქონდა გარჩევა ჩვენთვის არც წვიმას, არც თოვლს, არც მზიან დარს, არც ყინვას და არც ქარიშხალს. თუ წაქცეულა მუშა ნამეტანი ჯაფისაგან ანდა სიცივისაგან, ის იყო—დაითხოვნებოდა. მუშაობას ვიწყებდით გათენებისას. დაღამებამდე ვმუშაობდით ზამთარი იქნებოდა, თუ ზაფხული, მუშაობდით ხშირად გვიანობით თვალს [illegible]. რომ დაღამდებოდა და ჯვე-ლებიდან მუშაობაზე ხელს, უკანასკნელ ვერსიდან ხშირად ხუთი ვერსის სიშორეზე უნდა გვეძებნა ჩვენი ნივთები. ცნობილი ნივთებს—ვეძებდით წყალს, შეშას, რომ ჩაისთვის წყალი გვედუღებინა... რომელსაც ძალა შესწევდა და გადაიტანდა ამ ჯაფას, იგი დაღლილი ჩადის, ვინც ვერ შესძლებდა,—პურის ქერქით და ცივი წყლით კმაყოფილდებოდა და მოქანცული მიიძინებდა, ტალახში გინდ წყალში ჰქონებოდა საწოლი. ბევრი გამოესალმა წუთისოფელს და ბევრიც დაავადმყოფდა.

რამდენათ ადრე გაათავებდა საქმეს მექანიკი, პატივი იმდენათ ემატებოდა და „ჩინის" წინ მიდიოდა; თუ ჰყავდა 25—30 მუშა, კანტორაში წარადგენდა 45—50. რამდენ ზედმეტ მუშას წარადგენდა, იმდენ მეტს აიღებდა მექანიკი და ჯიბეს ისქელებდა. სამაგიეროთ, ამ 25 მუშას უნდა ემუშავნა, თავის წილ ნამუშევარ საქმესთან და ზედმეტ მუშების რომ არიდგენდა მექანიკი, იმის წილადაც; არც ამით კმაყოფილდებოდენ მექანიკები: მუშას ხელფასი თვეში ჯამაგირისაც კი აკლებდა—ზოგს ორი თუმანს და ზოგს სამს.

როცა დაეცა ნიკოლოზის ტახტი, ჩვენთვისაც ამოვიდა ბრწყინვალე მზე—პირველ ივლისს მოიწვიეს თფილისში მთელი „კალინინის" მექანიკები, თითო ზედამხედველი, თითო ჯარისკაცი და თვითეულ კალინინიდან თითო მუშა. ჯგუფისუფლებისათვის შეკრებილმა მუშებმა და ამავე დროის ყველა კალინინიდან [illegible] ხუთი მუშა [illegible] ხმით. კრება გამოცხადდა კონფერენციათ, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომისია. კომისიის დადგენილებას ყველა კალინინების ძველი ანგარიშების გადახედვა. კონფერენციამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი ბიურო. მუშებიდან ბიუროში ერთი ღებულობს მონაწილეობას. მეხუთე თვეა მას იქვით, რაც ჩვენი ბიურო დამტკიცდა, მაგრამ მუშის ინტერესის დაცვა ბიუროში არ გამოიხატება. ერთ საქმეში დიდი დანაშაულობა ჩაიდინეს ზედამხედველებმა ზაგარიევმა და ნიკოლაძემ. საქმე უნდა გადაეცა „კალინინის" ადგილობრივ ორგანიზაციას, მაგრამ ამ ზედამხედველებმა სამართლით აიცილეს მთელი ორგანიზაცია. შემდეგ საქმე გადაეცა ჩვენს ბიუროს, მაგრამ გასამართლების ნაცვლად ბიურომ იმათ უკეთეს ადგილზე გადაიყვანა. გამოძიებისთვის კომისიაც შეიქმნა. კარგად იქნებოდა, რომ გამოძიების კომისია შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

ლ—კა ჩხაიძე.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. (რკინის გზის ჟურნალისტების სახელოსნოს ტელეგრაფისტები). ამ ჟურნალის ამავე კვირის რკინის გზების ცენტრში, როგორც ყველგან, არსებობს ტელეგრაფის ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიაც შედიან როგორც ხელმძღვანელი, ისე ხელოსნები ტელეგრაფისტების და აგრეთვე ტელეგრაფის განყოფილების წარმომადგენლები და ტელეგრაფის მკერავი მოწყობილება. ამ ორი უკანასკნელის დაწესებულებების და ჟურნალისად განყოფილების ზოგიერთი მოსამსახურეთა შორის მოქმედება მეტად შესაჩნევი გახდა ამ ბოლო დროს. კომიტეტში წევრებად არიან ამ განყოფილებიდან „ჩამოქვეითებული" უფროსები ან და მათი მონა-მორჩილნი, რომელნიც მზად არიან ყოველ წამს ფეხქვეშ გაუწყონ მოსამსახურეს და კომბ. ორიოდე შეგნებული ამხანაგი ტელეგრაფისტებს შორის ბევრს მეცადინეობს საქმის მოწყობაზე, მაგრამ ამაოდ. ვის დაუჯერებენ? ამიტომ სამართლიანი, რომელიც ცენტრის, თავის მოვალეობას ვერ ასრულებს.

გარდ—ი.

ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ. ამას წინათ აღვნიშნეთ, რომ თავრიზის რკინის გზაზე მიხდა მუშა მოსამსახურეთა გაერთიანება, რასაც ადმინისტრაცია ხიფხება ორიოდ მამაც, რომლებსაც დასახამავათ ყადრებულები ერთმანეთი და სხ., მაგრამ დღეს, სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს „შეერთება" ზოგიერთ ვაქილების და მათ შორის, თავრიზის გზაზე ცნობილ იოსებ სიმონის ძე ზიარიძის ნდობით თურმე თავისი დაცემული პრესტიჟის აღსადგენათ, ეს ვაქტები დიდიან თავის სამოლგაწოდო ასპარეზზე გამოსვლისა, მუშა-მოსამსახურეთა შორის. შურისა და მტრობის თესლი მეტად არაფერს არ აქვთ და ამას ისე მოხერხებულად სჩადის, რომ შეუგნებელი ნაწილი მუშებისა მხარს უჭერენ მას. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეს ბატონები ამათ ფარფარებით ს. დ. პარტიას და მის დროშის ქვეშ ყოველთვე მიუთითებენ დამნაშავეს სჩადის. ბატონმა გამოუშვა გ. პლეხანოვის ჯაფარიძემ რ. ს. დ. მ. პ. მოწმობა და ამით სურს ფონს გასვლა, მაგრამ ამ იარლიყმა მას ვერ უშველა. შეერთების შემდეგ ს. დ. ორგანიზაციამ გამოუშვა დროებით სახელმძღვანელო, თუ როგორ მოიქცნენ არჩევნები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა თავრიზის რკინის გზაზე, რის განხორციელებასაც შეუდექით, მაგრამ დღეს ამ გზის „ცენტრალური კომიტეტი" და მისი თავმჯდომარე ბ-ნი ზიარიძე, რომელსაც არა ერთ-

ხელ გამოუცხადებს უნდობლობა, მაგრამ მისთვის ეს თითქოს არაფერია; მიუხედავათ იმისა, რომ მას დღეს არავინ უჭერს მხარს ის განაგრძობს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეობას. ამ გარემოებას მიაქცია ს. დ. ორგანიზაციამ ყურადღება, გამოიმუშავა კანდიდატების სია და წარუდგინა სამზადო კრებას; სამზადო კრებამაც დაამტკიცა და უნდა მოეკვეთნინა ფარული კენჭის ყრით არჩევნები. ამ სიის შედგენაში ღებულობდა ზიარიძეც მონაწილეობას, მაგრამ, როდესაც მოაღწია არჩევნების დღე, გამოაქვეყნა მეორე სია, რომელშიც ზოგიერთი არა სასურველი კანდიდატები იყო და მათ შორის ერთი ცნობილი შოვინისტი სადგურის უფროსი სტაცენკო, რომელმაც ქართველების წინააღმდეგ დეპეშაც კი გაგზავნა სამინისტროში და რომელიც წინაპრების და მუშების ცემით უკმაყოფილოდ მუშებს. ეს პიროვნება ქუჩის სთვის ყოფილა პასუხისგებაში მიცემული და ჯერაც არ არის ბრალდებისაგან თავისუფალი ან ასეთი კაცი მოიახოვს ცენტრალურ კომიტეტში გაყვანას. „წინააღმდეგ შემთხვევაში მე არ გამეშვება კომიტეტში". ზიარიძის ასეთ გამოცვლას ამხანაგებმა საკუთარ პროტესტი განაცხადეს. 27 სექტემბერს შესდგა თავრიზის რკინის გზ. ს. დ. პარტიის წევრთა სამზადო კრება, რომელმაც დაადგინა: „რადგანაც ყოველ ფეხის გადადგმაზე არღვევს ზიარიძის პროვოკაციულად მოქმედებს, ამიტომ მიეცეს წინადადება უკან წაიღოს სარჩელი თავისი სიტყვები ს. დ. ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეცნობოს საოლქო კომიტეტს და მთელ ორგანოს ს. დ. მ. პარტიას მისი მოღალატური საქციელი და გაძევებულ იქნას პარტიიდან", ამ კრებაზე მოწვეულ იქნა ზიარიძეც, რომელსაც გაეცნენ მისი შემცდარი ნაბიჯები პარტიის წინაშე, მან აღიარა: „მე ფსიქოლოგიურად ჩვენს კანდიდატებს დავუჭერ მხარს და ხალხსაც მოვუწოდებ პარტიის კანდიდატებს დავუჭიროთ მხარი". მაგრამ მოვატყუვდით! მან არც ერთი თავისი დაპირება არ შეასრულა. ზიარიძის წყალობით არჩევნები ცენტრალური კომიტეტის ჯერ კიდევ არ მომხდარა... ის ცდილობს გადაიტანოს არჩევნები; კარგად იცის, რომ ამის შემდეგ მას არ ელირსება ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეობა და როგორც უნდა შეეჩვიოს ასეთ სახელოვან „პოსტს" და ასე „შემოსავლი" ბ-ნი ზიარიძე და კომპანია და თუ ახლავე გადაჭრილად მათი ასეთი თარეშში, ახლა მოიმზადეთ უარესი სანაღვლო პროვოკაციის მოწმე ვგახდებით.

ამიტომ მოვუწოდებ ყველას თავრიზის რკინის გზაზე მომუშავე მუშა მოსამსახურეებს, განუწყვეტლივ ერთობისათვის, ნუ აყვებიან პროვოკაციულ ხმებს.

კვეხი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡᲐ (კახეთი). აქ ოქტომბრის 8-მდე ფართალეულობის მიღებაში დაყენებული იყო. 8-ში გაიცა მიღებაში და ხალხიც მოეშველა მიწყდა. პირველ დღეს წყნარად ჩაიარა. მეორე დღეს კი მოხდა უწესოებანი. უფასო ხალხი აღელდა და მისცვივდა ერთ ვიწროდ ფართალეულს მიღების დასაწყებად, რომელიც წინ დგადგოდა(?) ვიწროებით. გაიმართა ხანმოკლე ხელ-ჩართული ბრძოლა. გამოირკვა, რომ ვიწროებში ჩიოდნენ წინა დღით ჰყოლდნენ მანეთათ და ვქვს აბაზათ, მხოლოდ ამ დღეს კი—ცხრა აბაზათ. აგრეთვე ჰყოდდნენ სხვა ფართალეულობასაც. რამდენიმე შეგნებული კაცი ჩაერია ხალხში და მიანდობა დაამშვიდეს, მაგრამ ამაოდ! ხალხი მიაწყდა დუქნების გზისკენ და დაიწყეს ლაპარაკი ადგილობრივ კომიტეტის წევრებზე. იძახოდნენ: თუ მაგათ (კომიტეტის წევრთ) შიგ წილი არ ჰქონდეთ, რატომ მისცეს ნება ვაჭრებს ფართალეულობის ასე ძვირათ გაყიდვისა. სხვა ადგილებში ჩითები არშინი ოთხ აბაზათ გაიყიდა, აქ კი ცხრა აბაზათ აძლევენ. ეკითხება კომიტეტის წევრი გ. პეტრიაშვილი, რომელზედაც მეტი ეჭვი მიიტანეს ხალხმა ამგვარ მოქმედებაში და გამოჰკითხეს, თუ ვინ მისცა ნება ვაჭრებს ასე ძვირათ ფართალეულის გაყიდვის. გ. პეტრიაშვილმა უპასუხა: ყველაფერი გაძვირდა და მაგათაც რომ არ მოუმატონ სხვაფერი ფასები, ცოდვანი არიანო. ამ სიტყვებმა ხალხს ეჭვები გაუმართლა, რამაც ძალიან ააღელვა და აბობოქრეს: როგორც ეტყობა, „კომიტეტებს" ქრთამი ეძლევათ. ამ საქმეს გამოკვლევა დიდი და თუ გამართლდა, სასჯელი მოელით. მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი გ. პეტრიაშვილს ამ ამათ არაფერს უშველიდა, ეს უკანასკნელი მაინც გამოქცა დასამალავათ, რამაც ხალხს ეჭვები ერთი-ორად გაუზარდა. საქციელი ხალხმა არაფერად არ ჩააგდო, რომელიც მიმართა ამ საქმის დაწვრილებით გამოძიება. 8 ოქტომბერს რაიონის წევრებმა ხალხს თავისებურად გააცნეს საქმის შინაარსი, საიდანაც გამოირკვა, რომ კომიტეტის ზოგიერთ წევრს წყალობით (თუ ხალხი შემთხვევით არ დაინახავდა) უნდა გაყიდულიყო მთელი სოფლის ღარიბი გლეხობა, მხოლოდ პირველი კი ხელები მოეთბობათ „ძველ ყაიდაზე". ამასთან რაიონის წევრებმა გამოუცხადეს ხალხს, რომ მათ ამგვარ საქციელისთვის შესაფერისათ, ე. ი. 500 მანეთიდან 1500 მანეთამდე, დაჯარიმეს, როგორც კომიტეტის წევრები, აგრეთვე ზოგიერთი ებრაელი ვაჭარიც, რომელთაც, მათი სიტყვით, არა ნაკლები დანაშაული მიუძღოდათ ხალხის წინაშე. ხალხი დაკმაყოფილდა ამ ვაჭრების გადაწყვეტ-

ტილებით, მხოლოდ მოითხოვა ძველი, როგორც გადგმის სამზოს, აგრეთვე კომიტეტის მთელი შემადგენლობის დაუყოვნებლივ გამოცვლა. საჭიროა აღვნიშნო, რომ ყველა ეს ამ დღეს მოხდა ამხ. მ. ვარამაშვილის (რაიონის კომისარია) თანადასწრებით. მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნა 20 კაცი, საიდანაც 7 კაცი შევიდოდა აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ მეორე დღეს გამოირკვა, რომ ამორჩეულთაგანმა ყველამ ერთხმათ უარი განაცხადა კომიტეტში და საბჭოში შესვლაზე: რა ძალა გვადგა, ხვალ შეიძლება ჩვენ „დაგვწერონო". ვ. ვარამაშვილმა სოფლის სამართველო მილიციონერებითურთ ჩაბარა ამხ. ნიკო გვარამაძეს მეორე კვირამდე, ე. ი. 15 ოქტომბრამდე, ამ დღეს კი უნდა მოეხდინათ ახალი არჩევნები. მაგრამ არჩევნები არც 15 მოხდა, რადგანაც რაღაც მიზეზების გამო რაიონის კომისარი ვ. ვარამაშვილი ვერ მოვიდა. ასე დღემდე სოფელს „ეშმაკები" პატრონობენ. კრიზისიც ასეთი უნდა.

ჯიბილა.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. შ. და ჯარისკაცთა საბჭომ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა მოწოდება შ. და ჯ. კაცთა საბჭოს სრულიად რუსეთის აღ. კომიტ. და დაადგინა შემდეგი: მოახდინოს თავის რაიონში ადგილობრივი კრებები (სადგურ სამტრედიის მეზობლამდე ამაზე და სამტრედია, სვ-ტყის ქარხნის სარკინიგზო, ძირითადად „ზილიონ(?)"ისა" და სხვა წვრილი ქარხნების ქ. სამტრედიისა) რკინის გზის დეპოს მუშა მოსამსახურეებმა ერთხმათ მიიღეს, თანახმად მანდატი გადასცეს თავის წარმომადგენელს (?) ხელმძღვანელობას—ათი პროცენტი ერთი დღის ჯამაგირისა თვეში და ზოგ ადგილებს ათი პროცენტზე მეტი. ამის განხორციელებას შეუდგა შ. და ჯარ. კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი პირველ აგვისტოდან. შეკრებილი ნაწილიდან შემდეგ ნაირათ: ოცი პროცენტი მთელი შემოსავლისა გაეგზავნება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მუშ., ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს ყოველ ოთხმოცი. დანარჩენი კი რჩება ადგილობრივათ. 19 ოქტომბერს საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ზემოხსენებულ თანხიდან 200 მან. ერთდროულად გაუგზავნა ამიერ-კავკასიის მ., ჯ. კაცთა და გლეხთა საბჭოს ცენტრს და შემდეგშიაც განზრახვა აქვს ყოველ თვიურათ 15 პროც. უგზავნოს.

სამტრედიის რაიონში მოხდა მუშების შეერთება შ. და ჯარ. კაცთა საბჭოს ხელმძღვანელობით; მან შეადგინა თავდაცვის კომისია შემდეგი ორგანიზაციებიდან: ორი წევრი შ. და ჯარ. კაცთა საბჭოდან, ორი ქალაქის თვითმართველობიდან, ორი ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტიდან და ორიც რაიონულ აღ. კომიტეტიდან. ამჟამათ შესდგა თავდაცვის კომისია რვა კაცისაგან, რომელმაც შეადგინა სამხედრო ბიუროსათვის მუშათა გვარდია. რაზმი ვარჯიშობს სასწავლო-ტურით ქვეითში ერთხელ. უშიშროების კომისია და მუშათა გვარდია ექვემდებარება მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სოფლისათ სიტყვით აქაც ისე წყნარათ, როგორც ყველგან, მაგრამ არეულობის და დარბევის ალაგი არ ქონებია და ვაჭრობისა, არც ყოფილა. მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია შეერთებული კრება მუშების და ჯარის კაცების. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ვემოხით რა ყოველგვარ დარბევებს და თუ ერთიც ხმლის თავი, მზათ ვართ იმ წუთშივე ჩავქროთ. მთელი წინადადება სასურსათო კომიტეტმა შეასრულოს მთელი საქონლის აღწერა და ნახირის თანახმათ გაყიდვა, აგრეთვე მუშ. და ჯარ. კაცთა საბჭომ თავის მორიგ კრებაზედ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: განაცხადებ დეზერტირი არის ერთი მიზეზთაგანი არეულობისა, დეზერტირის დევნით გაჰქონდა ქ. სამტრედიაში და რაც ღვინო არის საწყობებში, იქნას გატანილი ქვემო ვერცხის მანძილზე ქალაქიდან და იქ დასამტვრევი; ეს ყველა სასრულებში იქნა მოყვანილი.

ქ. შენგელია.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘ. 15 ოქტომბერს ღვინეთში ხალხის სახლში დიდი კრება მოხდა. დაესწრო 500 კაცამდე გარშემო რკინის გზის მოსამსახურეები, როგორც ჯარისკაცები, აგრეთვე სხვა მუშა-მოსამსახურენიც. კრებაზე არჩეულ ბევრი საყურადღებო კითხვები ვერ. რკინის გზის მოსამსახურეთა ნივთიერი პირობების გაუმჯობესების შესახებ; გამოდიოდნენ მომხსენებლები სხვადასხვა კომისიიდან, ხელმძღვანელი-თა გადაცდა გამოცვლა, იძარებდა კამათი. ხათის 7 აქვნდოდა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ „კრაევოი ცენტრის" წარმომადგენელს რისამე გარეშე განცხადება აქვს. კრებაზე ჩამოვარდა სრული სიჩუმე, ყველას ჰქონდა რამე ახალი გაეგონათ: ტრიბუნაზე გამოჩნდა ჯარისკაცი ტულუპა, მიაქცია-მოაქცია კრებას რა თვალი, დაიწყო: ამხანაგებო, მე დიდხანს არ ვილაპარაკებ, რომ მით ამ საყურადღებო კრებას დრო არ წავართვა. ახლოვდება ის დრო, როდესაც დემოკრატიამ თავისი მხედრიული უნდა გადაწყვიტოს და მან უნდა სთქვას, ვის აბარებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას დამფუძნებელ კრებაზე. მე, როგორც თქვენი ინტერესების დამცველი, მოვიწოდებ ხმა მისცეთ სოც. რევ. სიას № 3 სია, გაამარჯოს ორგანიზაციას. კრება სდუმს! ტრიბუნაზე ადის ამხ. აბაშიძე. ის ყვირის რაღაცას მწვავე სიტყვებს ამ ცდილობს თავმჯდომარეობს. უკანასკნელი ბოლოში იხდის

კრების წინაშე, რომ მან არ იცოდა რას იტყოდა ტულუპა, თორემ არ დაართავდა ლაპარაკის ნებას. მერმე ამხ. აბაშიძე უჩივის მის ულიდილი გამოსვლაზე, რაიც იწვევს ტაშის ცემას კრებაზე. როდესაც ტულუპა თავის პარტიული საქმეების საკუთრებელი გამოდის სადმე, მან უნდა იცოდეს დრო და მასთან ერთად არ უნდა ეფარებოდეს ისეთ ავტორიტეტიან დაწესებულებას, როგორიც არის „კრაევოი ცენტრი". ტულუპა კი წინააღმდეგ იქცევა, თითქოს „კრაევოი ცენტრს" მისთვის მიენდოს პარტიული საქმეების გაკეთება.

წყნარი.

ᲥᲕᲔᲛᲝ ᲮᲘᲠᲔᲑᲘ. (გურია) 7 ოქტომბერს მოხდა ადგილობრივ პირველ დაწყებითი სკოლის საბჭოს კრება. განარჩევი იყო: საკითხი მასწავლებელთა შესახებ, სკოლის გამგის არჩევა, მდედლის სკოლაში დაშვების შესახებ. პირველი კითხვა გამოიწვია ამ სკოლაში მასწავლებელთა სამი ადგილის განთავისუფლებამ. მასწავლებლებათ საბჭომ აირჩია შემდეგი პირნი: პამენი, ონიფანტე და ელენე რამიშვილები. ძველებიდან რჩება ანდრო რამიშვილი, რომელიც საბჭომ აირჩია სკოლის გამგეთ. მესამე კითხვის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: ხელმძღვანელობს რა საბჭო ფილოსოფიური განყოფილების მოხსენებით დროებითი დეკრეტისა და კომისარიატის დადგენილების შესახებ და აგრეთვე ჯეროვნული სწავლების სურვილებით, ადგენს: არ იქნას დაშვებული სკოლაში მღვდელი.

ამ სკოლაში 230 მოწაფეა. მსურველი კიდევ ბევრია ყოფილა, მაგრამ სკოლა მეტს ვერ დაიტევს.

წელს ყურძნი მოსავალი იყო, ამ ზამთარს შეიძლება ხალხს ცუდის მოსავალი. აქ გაიხმაროს ხახალი ავათმყოფობა.

ვ. რ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ხალხის სახლი. ქართ. სახალხო წარმოდგენების მართველია წრის მიერ კ. შოთიაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა 25 ოქტომბერს პავლიანის 4 მოქმედებიანი დრამა „ივლიას დალუპვა", რომლის დედა-აზრი მოკლეთ შემდეგია: კლემენტს მისი პაპის რამოდენიმე გემი. გემები ძალიან მოძველებულია; პატრონს გემები დაზღვეული აქვს. ერთ მოკლე ხანში, ერთ თვეში კლემენტს რამოდენიმე გემი დალუპვია და ათასობით კაცი მსხვერპლი გამხდარა, მაგრამ ფულის მოტრფიალე კლემენსი ამას არ დაგიდევს და მიუხედავათ მისი ცოლის დაჟინებით ჩივილისა რომ გემი „ივლია" არ გაეგზავნა ზღვაში, რადგანაც მას ხას ნაწილი და ძირი ძლიერ დაზიანებული აქვს, კლემენსი, ფულის შეძენის წინაშე არ იხევს და გემ „ივლიას" ზღვაში გზავნის. კლემენსის ყოფილი ამხანაგის ქვრივი, კრისტინე, რომელსაც ცხოვრების ხალხარი არ დარჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი და ორი შვილიც ამავე დაზიანებულ გემებზე დაეღუპა, მაინც სიღატაკის ბრძოლის შეჩერების თავის ორი შვილს, ძალით—თუ ხვეწნით აგზავნის მეზღვაურად ამ დაზიანებულ გემ „ივლიაზე". კრისტინეს ერთი შვილი პეტერი, ცხოვრებაში განთავისუფლებული, ხედავს ის რევოლუციონერობისათვის იჯავრ, ამავე დროს გემზე, ხედავს მეორე, მარტინი, იცის რა გემ „ივლიას" დაზიანებულობა, არ მიდის. დედის არაფრისთვის ხვეწნა მაზე არ მოქმედობს, მაგრამ მას წინააღმდეგ მამარიაგებ ძალით, და მიჰყავსთ. გადის ცხრა კვირა, რაც გემი „ივლია" ზღვაში წავიდა და მის შესახებ არა ისმის რა. დედამალის შილის გულშემზარავი ამბავი მისი დაღუპვისა და ამნაირათ, შინის საშინელ კიდევ ემატება რამოდენიმე ქვრივ-ობლები. „ხანზინა" კლემენსი ხრიკებს მიმართავს, რომ თავიც იმართლოს,—თითქოსდა არა მისცეს რა და გემის დაღუპვისაგან დამოუკიდებელ სახელდიდებლან ადგილას.

ბ. მინდიაშვილმა მშვენივრად შეასრულა „ხანზინას" როლი. კარგათ ასრულებდენ როლებს (კრისტინე ქვრივი) ე. ბარათაშვილი, (პეტრე) მ. ჯაბაური და (მარტინ) ა. მეტრეველი. ნ. გოგუაძის სცენაზე გამოსვლა სათეატრო ხელოვნებაში ულეველთვის აღმატებას იწვევს; კარგათ შეასრულა თ. გოგილაშვილმა „თიან" როლი, ნ. ვანკვეტაძის (რუზენ ლეტერი) ნაწილნაირმა თამაშმა კმაყოფილი დატოვა მაყურებლები. კარგები იყვნენ აგრეთვე მარგველაშვილი (მენტონა, კლემენსის ქალი) და რამიშვილი-დეგებუაძისა (მატილდა) მისი ცოლი.

მოთამაშეებს ყველა ღებულობდა მიართვეს.

ხაჭარელი მ.

ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ / ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ირაკლი ივლიანეს ძე ჟორდანიძე მსახურობდა 221 ... ქალაქ ბათუმში. ის 1 სექტემბერს 1918 წელს იქნა გაგზავნილი ... „...", რის შემდეგ მხოლოდ ერთი წერილი მივიღეთ. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Ст. Гракали, м. Ахалкалаки, въ бригадній Ком. 8 Кавкасс. рба. бригады, Ап. Угрелидзе.

— ჯარისკაცი ანტონ მაქსიმეს ძე ცაგურია მსახურობდა მოიქმედ ჯარში მე 14 კავკასიის მუშათა ბათალიონში, მე 7 როტაში. ვთხოვთ უმორჩილესად თუ რამე იცით იმის შესახებ, გვაცნობეთ ამ მისამართით: თფილისი, მიხეილის ქუჩა მე 11 ლაზარეთი, ეკატერინე გაბუნიას.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲛᲘᲚᲘᲪᲘᲗ ᲣᲑᲜᲘᲡ

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

მოთავსებულია მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში (ხაშურისხევის ქუჩა № 3) ბიურო ღია ყოველდღე საღამოს 6—8 საათამდე.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ღებულობს ავათმყოფებს საღ. 4—6 ს. მდე.—ვენერიულ-სიფილისით წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. ხახვის ნაკლები, ნერვების აშლილობა, ხიფილისიანი, ფილტვებს და სხ. ელექტრონიზაციით წამლობა, მასაჟი, ვაცინისა მცენარე და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი ხამილიცო ნაწილი). (24—19)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Გ. ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘ

ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ,

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.

მიხეილის პრ., 76, (საავადმყოფოს ქუჩის საჭიროა).

ᲔᲥᲘᲛᲘ Კ Ი ᲒᲐᲠᲯᲐᲚᲐᲫᲔ

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ბულვარის ქუჩა, № 4, სასტუმრო ... ტელეფ. 15—00.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲔᲥᲘᲛᲐ

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Გ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ

იღებს საფილისტიკური ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მოედნის ქუჩა № 67; ... ... სან. შენიშნის პირველამორ, სან, სიხინიდან. ტელეფონი № 5—77.

ᲔᲥᲘᲛᲘ

Დ. Ვ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Გ. ᲖᲔᲞᲮᲔᲐᲫᲔ

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნაშრომი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს —6 საძ. საათამდე, ვერანცოვის ქუჩის ... რაზმის ქუჩა, № 19.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ᲕᲚ. Ი. ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი ღ ელექტრიზაცია. ტფილისერი ქუჩა, № 4

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

Ბ. Გ. ᲛᲔᲒᲠᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ

ჩამოვიდა ღ განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალიბოიდი არსენოლის ტყუით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე; საღამოს 6—8-მდე. მუხრანის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

ᲞᲣᲠᲘ

პროფესიონალურ კავშირის წევრებს, ახალი პურის ბარათების მიღება შეუძლიანთ თავისთვის და ოჯახის ოჯახებისთვის თითონ ან რწმუნებულის საშუალებით 28 ოქტომბრიდან ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე პროფესიონალურ კავშირის ბიუროში (პეტრე დიდის ქუჩა № 8) აუცილებელია შაქრის ბარათების წარდგენა.

3—1

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

ᲞᲣᲠᲘ

ახალი პურის ბარათების დარიგების შესახებ.

ვინაიდან ახლო მომავალში უნდა მოხდეს ხელახალი პურის ბარათების დარიგება, ქალ. სასურ. გამგეობა სთხოვს მოქალაქეებს დროზედ შეიცვალონ შაქრის ბარათების ხაბურიეში მოუყვანოს, იმათ ვისაც სრულიად არა აქვს შაქრის ბარათები, უნდა გახლდეთ შეიძინონ, რადგანაც ახალი პურის ბარათები მიეცემა მხოლოდ შაქრის და პურის ბარათის წარდგენის შემდეგ.

ძველი პურის ბარათებისა გადის 5 ნოემბერს.

3—3

ქალაქის სასურსათო კომიტეტი.